1924 წ. 10 ოქტომბერი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ.

# ჩირაღდანი

№ 18 გაზ. „კომუნისტი“-ს ლიტერატურულ—სამხატვრო ორკვირეული დამატება № 18

## საავადმყოფოში*)

დღეს უსათუოდ გავეწერები, უსათუოდ...

აღარ შემიძლიან მეტი აქ ყოფნა, მეტი გაძლება...

ყველაფერი მომბეზრდა...
ყველაფერი შემძაგდა...

ყველაფერს წამლისა და ავადმყოფობის სუნი სდის:

სასმელს,
საჭმელს,
საწოლს,
კედლებს,
ჰაერს...

არა, არა, აღარ შემიძლიან მეტის ატანა, აღარ შემიძლიან...

მოვა ექიმი და ვეტყვი გამწეროს...

თუ არ გამწერა გავიქცევი, გავიპარები...

სისულელეა კიდევ აქ დარჩენა: ვერც მარჩენენ და არც მიშველიან...

ხანგრძლივი წამლობა გინდაო...

თითქოს მარტო წამლობა კმაროდეს:
მზე, მზე მომეცით!
დამაწაფეთ უმტვერო ჰაერს!
მომეცით სივრცე სანავარდო!
მომეცით ფრთები!

* * *

ჩაკვდა სურვილიც...
დაილევენთა სნეული გული...

აზრი და ფასი დაეკარგა ჩემს თვალში ყველას...

მოკვდა ხალისი, სიცოცხლეს რომ მინარგიზებდა...

გაჰქრა ოცნება, სინამდვილეს რომ მაყვარებდა, რომ მავიწყებდა წუთისოფლის ამაოებას და თვით ცხოვრებას, დანტეს მიერ განვლილ ჯოჯოხეთს, უცოდველ სულთა სრულ სამოთხედ წარმომიდგენდა...

ეხლა რაღა ვარ?
აღარაფერი...
რა დამრჩენია?
ჰმუნვა და ცრემლი...
ჰმ, ცრემლი, ცრემლი!
სადღა მაქვს ცრემლი?!
გენიის ცეცხლმა დამიშრო იგი...

ჩემი არსება დაემსგავსა იმ სასაფლაოს, სადაც სიკვდილსაც შეაძრწუნებს სიცარიელე...

* * *

ნეტავ რას ვბოდავ?
ნუ თუ სიცხე მაქვს?
ეჰ, რა ძნელია მარტოობა ავადმყოფისა...

სადა ხართ, სადა, საყვარელო სწორ-მეგობრებო!

სადა ხართ სულის სიმტკიცენო, ძმებო-მუშებო!

სადა ხართ, სადა, თქვენ გიყივით თქვენი პოეტი,

დღეს სასიკვდილოდ განწირული, ობლად გდებული!..

* * *

ჰაჰაჰაჰაჰა!
მიხარიან!
გადავრჩი!
ცოცხალი ვარ, ცოცხალი!
მაშ, რა გეგონათ, მოვკვდებოდი?

ნურას უკაცრავად, თუ მოლოდინი არ გაგიმართლეთ!

— არ შეიძლება, ნუ ღელავთ, სიცხე გაქვთ, მოგიმატებთ!—მზრუნველობით მარიგებს მოწყალების და.

— ჰმ! თქვენ ეგრე ჰფიქრობთ? ეგრე გგონიათ?

— მგონია კი არა, მართალს გეუბნებით. საბანს ნუ იხდით, ოფლი გაქვთ, გაცივდებით.

— კარგია ოფლი?

— რა ვიცი: ზოგჯერ კარგია, ზოგჯერ ცუდი.

— სიცხიანისათვის კარგია.

— კარგია.

— ჭლექიანისთვისაც?

— გეყოფათ, ბევრს ნუ ლაპარაკობთ, გავნებთ.

— მესმის, ჩემო დაო, მესმის. მეტს აღარ ვილაპარაკებ, ხმას აღარ ამოვიღებ... წყალს ვერ მომიტანთ?

— მოგიტანთ. დამშვიდდით. მოისვენეთ.

— ვერა, ვერ ვჰპოვე ქვეყნად მშვიდობა. ისე მოვკვდე, რომ ვერ მოვისვენო...

— ისევ დაიწყეთ? გეუბნებით გაწყენთ-მეთქი... აჰა, დალიეთ წყალი.

— გმადლობთ, გმადლობთ. ძლივს სული არ მოვიბრუნე?

* * *

თავს უკეთა ვგრძნობ...
სიცხეს გაუვლია...

— პიავ პიავ-პიავ!—მოისმა ქუჩიდან სოფლიდან ჩამობრძანებულ კნეინა-ინდაურების ხმაური.

— გამარჯვება ჩხეიძე!—ალერსიანი ღიმილით მომესალმა მოწყალების და.

— გაგიმარჯოს ჩემო მფარველო ანგელოზო, გაგიმარჯოს!—გავეხუმრე მე.

— რაო? რა სთქვით? გაოცებით მეკითხება იგი, რადგანაც არ მოელოდა ჩემგან ასეთს სიტყვებს.

— რა იყო, რა მოხდა, ცუდი ხომ არა მიკადრებია რა?

— არა, არა, გაიმეორეთ რაცა სთქვით?!—ჯავრობს ის და წითლდება.

— გაგიმარჯოს, ჩემო მფარველო ანგელოზო!—ვიმეორებ და ვიცინი.

— ნუ იცინით, ნუ! ეგ ერთხელ დაგიშავებიათ და მეორედ აღარ გაჰბედოთ.

— უკაცრავად, ჩემო ლია, უკაცრავად.

— კიდევ? მე არც თქვენი ლია ვარ, არც მატრონა.

— მაშ, ვისი ხართ?

— რა თქვენი საქმეა, ვისიცა ვარ?

— შეყვარებული ხართ?

— რა ვქნა, რა დაგემართათ, გაგიჟდით?

— ჰა-ჰა-ჰა!.. იცით რას გეტყვით ლია...

— მე ლია არა მქვიან, არა! გაიგონეთ თუ არა?—ბრაზობს გულ-მოსული მოწყალების და.

— ბოდიშს ვიხდი, ბოდიშს ვიხდი ლილი.

— ტყუილად ბოდიშობთ, ტყუილად იწუხებთ თავს, მე ლილი არა მქვიან!

— მაშ, რა გქვიან?

— რა და მოწყალების და.

— ჰა-ჰა-ჰა ჰა! ეგ ხომ მეც ვიცი რომ მოწყალების და ხართ.

— ჰო და, მეტი არაფერი...

— სახელი მითხარით, სახელი.

— რა ვქნა, რაში გეკითხებათ ჩემი სახელი?

— ეგ მე ვიცი. თქვენ სახელი მითხარით და...

— არ გეტყვით, არა!

— გავიგებ, უთქვენოდაც გავიგებთ!

— ლილი ჰქვიან, ლილი!—ამხილეს ავადმყოფებმა.

— რა მშვენიერი სახელია! ასეთ სახელს დაფარვა კი არა, გამზეურება და ამღერება უნდა!

რა კარგიხარ, რა კოხტა ხარ, ლილი;
ალვასავით ლაღად ტან-აყრილი.
ისე ჰშვენი თეთრად შემოსილი,
ვით ლურჯ ცაზე ნისლი გაცრეცილი...

— დაჩუმდით, დაჩუმდით, მე არ ვსაჭიროებ თქვენს ქათინაურებს!—კაპასობს ლილი და წასვლაც ვერ მოუხერხებია.

— როგორ გიხდებათ გაჯავრება!

— ჰკვიანად იყავით, თავს ნუ მაბეზრებთ, თორემ, დედას გეფიცებით, შეგარცხვენთ!

— ცოცხალი გყავთ დედა?

— თქვენსას არ იშლით? მაშ, ქალი არ ვიყო, თუ ეხლავე ექიმს არ მოვახსენო!—დამემუქრა და წასვლა დააპირა ლილიმ.

— მოიცა, მოიცა, ქალო. გეხუმრებოდი. მინდოდა გამეფხიზიანებინე.

— კარგი ხუმრობაა, თქვენმა მზემ...

— შევრიგდეთ, შევრიგდეთ ლილი. მომეცი ხელი.

---

*) დასასრული, იხ. „ჩირაღდანი“-ს № 17.

— თავი გამანებეთ!—გაბუტვით წარმოსთქვა წარბ-შეკრულმა ლილიამ და გატრიალდა.

* * *

ნეტავ არ დამეძინა.
ცუდ ხასიათზე ვარ.
ექიმმაც დაიგვიანა.
თუ არ გავიწერე, უარესი მომივა.

— რასა შვრებით თავდით ჩხეიძე, ვის ეჩხუბებოდით!—შერიგებულის კილოთი გამოელაპარაკა ლილი.

— ვის ვეჩხუბებოდი და, თქვენა.

— არა, მართლა, რამ დაგძინათ ამ შუადღისას? არ იცით, რომ დღისით ძილი არ ვარგა: მოუსვენრობა იცის.

— ეჰ, სულ ერთია. ჩემთვის არც ღამეა მოსვენება, არც დღისით.

— გეტყობათ მეგობრებზე ძლიან გულ-ნაკლული უნდა იყვნეთ.

— თქვენ საიდან იცით?

— სიცხეში ჰბოდავდით.

— მართალია. ნაცნობ-მეგობრებზე ერთობ გულ-გამტყდარი ვარ. ან კი როგორ არა ვსთქვა საყვედური, როგორ არ დავიდურო იმ უკეთურებს, როცა თვეზე მეტია რაც აქ, საავადმყოფოში ვწევარ და ერთხელაც არავის უნახივარ.

— იქნება არ იციან!

— ეეეჰ, რასა ბრძანებთ, ეს პირველი შემთხვევა ხომ არ არის: შარშანაც მთელი ორი თვე ვიავადმყოფე, უწამლობასა და უექიმობას ჯინა სჭიოდა, ლუკმა პურის ფული არ გამაჩნდა, წელიწლობით ვეტყობინებდი, სიტყვიერად ვუთვლიდი ამხანაგებს, მაგრამ, თქვენც არ მოიკვდეთ, არც ერთს მათგანს, არამც თუ მოუხედნია, პასუხიც არ უღირსებია.

— თქვენს ბინაზე იწექით?

— დიაღ.

— რატომ საავადმყოფოში არ მოთავსდით?

— ეეეჰ, თქვენ დალოცვილნო, თქვენა, მათვისმდნენ და არ მოვთავსდი? ვინ იყო ჩემი პატრონი და გულ-შემატკივარი? მეუღლე რომ არ მყოლოდა, აქამდის ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდა, ისეთი მძიმე მოსავლელი ავადმყოფი ვიყავი.

— როგორ, თქვენ ცოლიანი ხართ?

— დიაღ.

— აქ რომ ფერმკრთალი ქალი დადის, ის არის?

— დიაღ.

— აი თქვე ეშმაკო, თქვენა, მაშ წელან რას მეარშიყებოდით?

— ეეეჰ, გეხუმრებოდით, ქალო, გეხუმრებოდით. რაღა დროს ჩემი არშიყობაა. ახალგაზრდობისას არა ვყოფილვარ მოარშიყე და ამ სიბერის ჟამს...

— სუთ! ნუ სტყუით: ზოგიერთი ქოფაკი ბებრები ახალგაზრდებზე უფრო მსუნაგი არშიყები არიან.

— მეც იმათ რიცხვში მთვლით?

— არა, მაგრამ... განაგრძეთ, სასაუბრო საგანს დაგაშორეთ.

— ჰო... ნაცნობ-მეგობრებზე მოგახსენებდით... აგერ, ჰხედავთ ჩემს გასწვრივ რომ ქუჩის ქურთი მეეზოვე წევს?

— მერე რა?

— რა და, ისა, რომ ყოველ ნახვის დღის მაგასაც კი აუარებელი მნახველები მოსდიან და მე კი, თითქოს ვიღაც უთვისტომოაო, არც ერთი მახლობელი ამხანაგი არ მნახულობს. ნახვას ვინ-ღა ედავებოდათ, შორიდანაც არა მკითხულობენ: კვდები თუ რჩები. მოდით და ასეთ ხალხზე, ასეთს ყალბ ნაცნობ-მეგობრებზე გული მთელი გქონდეთ. მერე, თქვენ გგონიათ მცირეა მათი რიცხვი? კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, რადგანაც საქვეყნოდაც არა ღირს და, საქართველოს ნახევარ მცხოვრებლებზე მეტი ჩემი პირადი ნაცნობია.

— მდიდარი კაცი ყოფილხართ.

— ჰა! დამცინით, ლილი?

— სრულებითაც არა: მდიდარი და ბედნიერია ის კაცი, ვისაც ქვეყანა იცნობს, ვისაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურნია.

— რა გულუბრყვილო ბავშვივითა ტიტინებ, ლილი. ნეტავი შენ, რომ ჯერ კიდევ არ გასცნობიხარ ცხოვრების სინამდვილეს და ვარდისფერ სათვალეებში ისევ ზღაპრულ სიმშვენიერედ გეჩვენება საწუთრო ჩვენი. ეეეჰ. ფუჭი ყოფილა ყველაფერი, ფუჭი. რის მეგობრობა, რის ნაცნობობა! რა სიყვარული, რა პატივისცემა! ტყუილია, სიცრუეა ყოველივე! არც ერთი გულწრფელი მეგობარი, არც ერთი მოსიყვარულე ამხანაგი არა მყოლია: თვალთმაქცნი, თლიდნი, ფარისევლები! —აი მათი შუბლით სატარებელი სახელი...

ეჰ, მეც მყავდნენ, მეც მიყვარდნენ
ნაცნობ-მეგობრები;
მხიარულად გარს მეხვივნენ,
როგორც სკას ფუტკრები.
დღეს კი, როცა ავად ვარ,
როცა ალბად ვკვდები, —
აღარავის არ უნდივარ,
აღარც ვახსენდები.
ეჰ, დავრწმუნდი რაც ყოფილა
ნაცნობ მეგობრობა:
ლხინში ძმობა, თანაგრძნობა,
ჭირში გადაცნობა..

* * *

ეს-ღა მაკლდა..

უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო, რომ იტყვიან, სწორედ მე დამემართა.

ვფიქრობდი: ორიოდე დღეცა და ნახევრად გამოკეთებული მაინც გაუდგები შინისაკენ გზასა მეთქი, მაგრამ..

დახეთ ჩემს უიღბლობას:

მუხთალი ბედი თურმე ახალ უბედურებასა და მწუხარებას მიმზადებდა: უფრო უარესსა და აუტანელს

კვირა დღე იდგა..

ყველას ახარებდა ეს დღე:

სამ საათიდან ხუთ საათამდე ავადმყოფთა ნახვის დრო იყო.

მეც ხალისიანად ვიყავი:

ჩვენებს მოველოდი.

ჯერ კიდევ დილის ათი საათი არ იქნებოდა.

საავადმყოფოს კარი ოდნავ გაიღო და ჩემმა მეუღლემ შემოიხედა.

ფერ-ფური მეცვალა.

მე წინასწარ მივხვდი, რომ კარგს არას მოასწავებდა მისი ასე უდროვოდროოს მოსვლა.

მაშინათვე ვიტაკე კარებს.

— რა ამბავია, რამ მოგიყვანა ასე ადრიანად?—ვკითხე მეუღლეს.

თვალები ცრემლებით აევსო.

— რა იყო, რა მოხდა, ბავშვები როგორ არიან?

— ციალა მყავს ავად.

— ვაი, შენ ჩემო თავო..

— არ მინდოდა ეს ამბავი შენთვის გამემხილნა, მაგრამ ვიფიქრე: ვაიმე თუ უარესი დაემართოს ბავშვსა და ბარემ ამ თავითვე იცოდეს მეთქი.

— რა დაემართა, რა სტკივა?

— ფილტვების ანთება აქვს ორივე გვერდში.

— ვაი ჩემს გაჩენას...

— ნუ გეშინიან, ჯერჯერობით საამისო არაფერია.

— რამდენი დღეა, რაც ავად არის?

— სამი.

— ექიმი გყავდა?

— მყავდა

— რა გითხრა, რა გირჩია?

— საავადმყოფოში დააწვინეთო.

— ეხლა [illegible] გყავს?

— არა, პირველი ზომები უკვე მიღებული მაქვს.

— შემდეგ?

— ამ საავადმყოფოში მინდა მოვიყვანო, ვინაიდან შენც აქ იმყოფები და აქაური მოვლა-კვებაც უკეთესია.

— როდის უნდა მოიყვანო?

— დღესვე. დაგვიანება არ შეიძლება.

— მიიღებენ?

— უკვე მოველაპარაკე საავადმყოფოს ადმინისტრაციას: მოიყვანეთო. ეხლა აქედან პირდაპირ სწრაფ დამხმარე ეტლისათვის უნდა გავეშურო.

— მაშ, წადი, წადი, გენაცვალე ნუღარა ბანდდები

— ეჰ, თქვენა მყავდეთ კარგათა და...

— ნახვამდის.

— ნახვამდის, ჩემო გულო, ნახვამდის... აბა, შენ იცი როგორ ყოჩაღადაც მოიქცევი შენებურად...

* * *

ველარ ვისვენებ...
ერთ ადგილას ველარ ვჩერდები...
გადარეულივით დავდივარ აქეთ-იქეთ...
საათის სამია...

ჩვენი ოთახი ისე გავსილა ავადმყოფთა მნახველებით, რომ არც კი შემინიშნავს..

წამდაუწუმ ვიყურები ფანჯრიდან ქუჩაში...
ქარია...
წვიმს...

ფანჯრის მინებზე მოყრილი წინწკლები ჩემი ციალას მარგალიტისა ცრემლები მგონია...

გული მიტირის..
შელონებული გავცქერი გზასა და...
უცდი ჩვენებს..
იგვიანებენ...
არა სჩანს, არა...
ათასი ფიქრი...
ათასი ეჭვი...
რა დაემართათ?
სად არიან აქნობამდის?
ცუდი ხომ არა შეემთხვათ-რა?
ბავშვს ხომ არა დაემართა რა?
იქნებ დასუსტდა მეუღლე ჩემი?
გულ-წასული ხომ არ დაეცა სადმე, ქუჩაში?
მაშ, სად არიან?
რატომ არ მოჰყავთ ავადმყოფი ჩემი ციალა
ნუ თუ გადიფიქრეს და სხვა საავადმყოფოში წაიყვანეს?
სულთქმა მიპირს...
ჰაერი აღარა მყოფნის...
საათის ხუთია...
ფანჯარას არ ვცილდები...
თვალები დამაწყდა დიდხანს ყურებით...
გული გადამელია ჩვენების ლოდინით...
შიში მიპყრობს...
საფეთქლები მტეხენ...
თავი მისკდება...
ლამის დამაღრჩოს მოწოლილმა ბოლმამ...

* * *

ძლივს...
გამოჩნდა ეტლი დახურული...
შავი ეტლი...

გაზაფხულის ტურფა ყვავილივით კოპწია გოგონა და, ასეთი სამგლოვიარო ეტლი..

ჰმ! განა ეს ბრმა ბედის მწარე და მახინჯი დაცინვა არ არის?..

მოვიდა ეტლი...
გაჩერდა...
გული მიჩქროლავს ამოსავარდნად...

სული მიილტვის ამოსაფრენად...
ჯანიტარები გადმოხტნენ სწრაფად...
აჰა, გადმომყავთ ავადმყოფი ჩემი ციალა...
თავს ძალა ვიღებ...
ფეხის თითების წვერებზე ვდგები...
თვალებს ვაცეცებ...
მაინც შორით მაინც დავინახო ჩემი გოგონა...
ღირსი არ გავხდი...
მთლად საბანში გაეხვევნიათ...
ვეღარ ჩვენს კარებს...
ვცადე გაქცევა...
მოაცეს ხელკავი...
შემაჩერეს...
ნება არ მომცეს...
არ გამიშვეს...
მინდა ვიყვირო, ვიღრიალო...
მინდა ვიღრიალო ყელ-გამოსაჭრელად გამზადებულ ხბოსავით მაკრაგ...
მძიმე ავადმყოფებისა მერიდება:
შეწუხდებიან...
მოვშორდი კარებს...
თავში ხელები წავიშინე...
პირქვე დავემხე ჩემს საწოლზე და...
ავქვითინდი...
ავქვითინდი ისე საბრალოდ, როგორც ქვითინებს ნორჩი ბავშვი, გზა-დაკარგული...

* * *

შავი ფიქრები დამსევიან ჭილყვავებივით...
თავს ვეკითხები:
რომ ვერ გადარჩეს ჩემი ციალა?
რომ გამომტაცოს ულმობელმა სიკვდილის ხელმა?
რომ ჯავრისაგან თან გადაჰყვეს თავისი დედიკოც?
რას ვიზამ მაშინ?
ნუ თუ ვიცოცხლებ?
არა და არა!..
მეც თავს მოვიკლავ!—
მუცუმანოთ მოვიკლავ მეც თავს!..
დარჩება ობლად ჩემი ბიჭიკო..
პირველ დღეებში მიჰხედავს ვინმე...
ხოლო მერე კი მისცემს...
ანუგეშებს...
მიეფერება...
მაინც მოსწყენს...
ცდას დაუწყებს...
მოიბეზრება...
შემოღამდება...
სათითაოდ გვიკითხავს ყველას...
შეეცოდება იმ ვიღაცას...
ლოგინს გაუშლის...
ბიჭიკო მაინც ნაღვლიანად იკითხავს დედას...
მოატყუებს: ხვალ მოვაო...
ამოიოხრებს...
მიწვება საწყლად...
მიეძინება ტან-გაუხდელს...
მოჰყვება ბოდვას...
მოეჩვენება სიზმარში დედა...
ხელებს გაუწვდის ძუძუებში ჩასახუტებლად...
შეფრთხიალდება ჩიტსავით...
გაეღვიძება...
თვალებს გაახელს და ვერ ნახავს ძვირფას დედიკოს...
ტირილს დაიწყებს...
დაუყვავებს ისევ ის ვიღაც...
კვლავ მიიძინებს...
გათენდება...
გამოიღვიძებს...
იკითხავს დედას, მამას, დაიკოს...
დაგვიწყებს ლოდინს და იმ დღესაც რომ აღარ მივალთ,
გაეპარება იმ ვიღაცას და ქუჩა-ქუჩა
დაგვიწყებს ძებნას გულ-ამოსკვნილ „დედა"-ს ძახილით...

დაიკარგება ამ ძებნაში, ამ ხეტიალში და რომ დედიკოს ვერ მიაგნებს, ხმას ვერ მიაწვდენს,—სადმე მიწაზე მიეგდება მათხოვარივით ყრუ სლუკუნით მიეძინება.

* * *

მომილოცნია! თქვენმა ბავშვმა მოიხედა! სიცოცხლისაკენ იბრუნა პირი! კრიზისი მშვიდობიანად გადაიტანა! გამობრუნების გზას დაადგა!—მოულოდნელად მახარა ჩემმა ნაცნობმა ექიმის თანაშემწემ.

მართლა?! საშიშროებამ გაიარა?! აღარა უჭირს რა?! მორჩება?!—სიხარულით ვეკითხები მას და ვიცინი, ცრემლით სავსე თვალებით, ვიცინი გიჟივით.

— შეგიძლიანთ ეხლა მშვიდებულნი იყვნეთ! დარდენიმე დღეც და თქვენი გოგონა სავსებით გამომთელ ბული ჩაგბარდებათ.

— ოჰ, შენ კი გენაცვალე, შენა! —აღტაცებით შევეხვე და გადავეხვიე, გადავკოცნე.

* * *

ასე: გადარჩა საყვარელი ჩვენი პეპელა, ჩვენი ყვავილი, ჩვენი გვრიტი, ჩვენი ციალა: ჩვენი სიცოცხლე, სასოება და ნეტარება...

* * *

ძლივს დამიშოშმინდა აფორიაქებულ-აწიოკებული გრძნობა გონება...

ახლა კი მესმის იმ უბედურ მშობლების უნუგეშო ყოფნა და მწუხარების გაუნელებელი ცეცხლი, რომელთაც შვილები დაჰკარგვიათ...

* * *

გული გაწყალდა შემოდგომის ჟინჟღლითა და წვიმით...

ღამის ქვეყანა დაალპოს ნესტმა ..
ასე მგონია არასოდეს აღარ გამოიდარებს...

ამ ბოლო დროს შენ ძალიანა ღალატობ ბი, ამხანაგო!—მისაყვედურებს მეზობელი ავადმყოფი.

— რაში გღალატობ, ამხანაგო?

— რაში და ერთობაში, თავის შექცევაში, სიხიარულეში...

— ეჰ, ჩემო ძმაო, აბა რა მაქვს სამხიარულო?

სული სწუხს, სული ლოგინში წოლით,
ლოგინში წოლით სწუხს ჩემი ხული;
გარეთ კი, ბაღში, ნერვიულ თრთოლით
ცვივა ფოთოლი შეყვითლებული..
ცვივა ფოთოლი და მეც ცახცახით
ვწყდები სიცოცხლის დაღუნულ ტოტებს;
მქლე შემოდგომის ჰლექიან სახით
სიკვდილი მოდის და მოაბოტებს..

— ერიჰაა! შენ ძალიან ღრმად ჩაყურყუმელავებულხარ სასოწარკვეთილების მორევში.

— რა ვქნა, ძმაო, ავადმყოფობამ ცალკე დამაუძლურა და ოჯახურმა გაჭირვებამ კიდევ ცალკე.

— შე კაი კაცო, შენა, უჯავრო და მუდამ დალხინებული რომელია, მაგრამ შენსავით მაინც არც ერთი ჩვენთაგანი არ მისცემია უიმედობას. მართალს არ ვამბობ, ხალხო!—მიუბრუნდა დანარჩენ ავადმყოფებს.

— მართალი ხარ, მართალ!—კვერი დაუკრეს ერთხმად.

— ჩაის არ დალევ, ამხანაგო?—მთავაზობს მეზობელი.

— მომიტანე დავლევ.

— აი, ეგრე. შემდეგ კიდევ ზღაპარი ვთქვათ და ასე, ამ რიგად გავაჩანჩალოთ ეს ორსულივით ფეხ-მძიმე დრო.

ზღაპრის ხსენებაზე ყველამ ყურები სცქვიტა.

— აბა, შენ იცი რაღა, რა კარგ ზღაპარსაც გვეტყვი!—წაახალისეს იგი.

— ეს იყო წინად... საკმაო ხნის განვლობის შემდეგ—დაიწყო მეზობელმა თავისი ზღაპარი.

— ამხანაგებო, ელექტრონი აანთეთ, დაბნელდა, ვეღარასა ვხედავთ!—წამოიძახეს ზოგიერთებმა.

— ჯერ ადრეა. ნუ აწყვეტინებთ ზღაპარს!—შენიშნავს ვიღაცა.

რაღა ადრეა, სოფელში ხომ არა ვართ?

— აანთეთ, აანთეთ!—მოითხოვენ თითქმის ყველანი.

ელექტრონი ინთება.

მეზღაპრე განაგრძობს:

— ორი ქვეყანა არსებობდა ერთ ქვეყანაში:

პირველი იყო განცხრომის და შვების ქვეყანა,

ხოლო მეორე—შრომისა და ტანჯვა წვალების...

ცალმხრივ ლხინის ხმა გაისმოდა მდიდარქოფაკთა,

მეორე მხრივ კი მოთქმის ზარი მშიერმწყურვალთა..

პირველი იყო მცირე ჯგუფი მყვლეფელებისა,

ხოლო მეორე—მთელი ხალხი მშრომელებისა..

ერთ მხარეს იყო უვიცობა და სილატაკე,
მეორე მხრივ კი—სწავლა, ცოდნა და ფუფუნება...

ხალხი ბეჩავი, უფლებო, გზა-აბნეული,
თვითმპყრობელობის სიმძიმის ქვეშ იზნიქებოდა;

პირუტყვსავით შებმულიყო მონურ უღელში
და გმინვა-ხვნეშით ეცემოდა, სული ჰხდებოდა...

არსაიდან ხსნა არა სჩანდა...
უიმედობას გაეშალნა წყეული ფრთები...
ულაჯობას ღრმად გაედგა ყველგან ფესვები...

ხალხი უმწეო, ცრემლიანი ცას შეჰყურებდა:
ლოცვით, მუდარით მოელოდდა სასწაულს ღვთისას...

ამა იყო ყოველივე ..
. . . და აი, ერთხელ უბედურთა მოკუპრულ ცაზე

ცრიატმა შუქმა გაიცინა, გამოანათა...
ეს შუქი იყო სიმბოლო ხსნისა—ჭაბუკის სახით..

ჭაბუკი იგი მოვიდა ხალხში და მოიტანა რწმენა, იმედი გამარჯვებისა...

ის ქადაგებდა ახალ მცნებას, ახალ მოძღვრებას...

პირველად ყველა ეჭვის თვალით უმზერდა ჭაბუკს...

შემდეგ და შემდეგ ენდობოდნენ, თანაუგრძნობდნენ...

მან მოამზადა ნიადაგი მოქმედებისა...
სანდო მუშები გამონახა, გამოარჩია
და მომავალი ბრძოლისათვის აღუნთო ცეცხლი ..

დრო მიდიოდა ..
მზადდებოდა დიდი ამბები...
ყველა ქარხნებში, სარდაფებში, ბნელ გვირაბებში
მუშათა ჯარი საიდუმლოდ ემზადებოდა...
არც მტერს ეძინა:
გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ყველაფერს...

დაჰკრა საათმა...
აფრიალდა წითელი დროშა...
მედროშეთ იყო ცეცხლ-მფრქვეველი ჭაბუკი, იგი...

— ამხანაგებო!
გადისროლა პირველი სიტყვა:
— შეჰფიცეთ დროშას!
მოუწოდა თვის ერთგულ მებრძოლთ.
— ვფიცავთ!
ვაჟკაცურად შესძახეს ერთხმად.
— ამხანაგებო!
კვლავ დასჭექა ჭაბუკმა რისხვით:
— კმარა ლოდინი!
კმარა ცრემლი!
კმარა მონობა!
ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი თავი მედგარი ბრძოლით!
ჩვენ უნდა ცეცხლით გადავბუგოთ ქვეყანა ძველი!
ძირს ბორკილები!
გაუმარჯოს თავისუფლებას!
ძირს ძარცვა-ყვლეფა!
გაუმარჯოს შრომის სუფევას!
— ტრახ-ტა-ტა-ტა ტა!!!
ასტყდა სროლის ხმა...
მეფ ს ჯარები თავს დაეცნენ მეამბოხეებს...
ზუზუნებს ტყვია დაუნდობელი...
წაიქცა ერთი...
ორი...
სამი...

— ვაშააა!—იგრიალეს უიარაღო მუშებმა და ეკვეთნენ ჯარებს..

გაჩაღდა ბრძოლა ხელ-ჩართული, გააფთრებული...

კვნესა-მუქარა ისმოდა დაჭრილებისა...
იშიშვლეს ხმლები ცხენოსნებმა:
სჩეხენ...
ჰკაფავენ...
მოჰკლეს ჭაბუკი...
დაეშვა დროშა...
ქუჩები სისხლით შეიღება...
მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა...

— გძინავთ, ხალხნო? იკითხა მეზღაპრემ.

— არა, არა! გისმენთ! განაგრძე!—გამოეხმაურნენ მსმენელები.

— ამხანაგებო! ლენინი მომკვდარა!—ელდიანი დეპეშით შემოვარდა ჩვენთან ქალაქიდან დაბრუნებული ჩვენი მომვლელი და... ზღაპარი გაწყდა...

გ. ქუჩიშვილი.

# ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგი

როგორც წინა წერილში აღვნიშნე, ყაზბეგის ნაწერების კრიტიკულად გადაკითხვის შემდეგ საჭიროდ დავინახე ალექსანდრესა და დიმიტრის ნაცნობთა ნახვა-გამოკითხვა.

1916 წელს სოფ. სტეფანწმინდას ვინახულე სოლომონ ფიცხელაური მის სახლში... ის კარებში ყადეზე ჩამომჯდარი დამიხვდა; მივესალმე, დაუკარ თავი, მოხევეთა ჩვეულებით მოვიკითხე; სოლომონმა ჯერ ვერ მიცნა, წამოიწია ფეხზე ადგომა მოინდომა, მაგრამ, მე უკვე მასთან ვიყავი და ვსთხოვე არ შეწუხებულიყო ადგომით... მიცნა თავის გვერდით დასაჯდომად მიმიწვია, მომესაყვარლა, მომიკითხა... გავაბით ლაპარაკი... მკითხა ქალაქის ამბავი, ჩემი მისვლის მიზეზი... შემდეგ გადავედით ყაზბეგების მოგონებაზე...

ბატონო სოლომონ! დიდი ხანია მინდოდა თქვენი ნახვა, მიტკაისა და სანდროს შესახებ ცნობების თქვენგან მიღება, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე ეს.. თქვენც გეცოდინებათ, რომ მიტკაის გადაცვალების შემდეგ, სანდრომ სახელი გაითქვა მწერლობით... ამას თან დაჰყვა ეჭვი იმისა, ვითომც სანდრომ, მიტკაის სიკვდილის შემდეგ, მიტკაის ნაწერები თავისთან გადაიტანა—მიითვისა და თავისად გამოაცხადა.. ამის შესახებ სანდროს ბიოგრაფიაშიაც არის მოხსენებული, მაგრამ იქიდან მართლის გაგება ძნელია... ამიტომ მოვინდომე თქვენი ნახვა, თქვენგან იმის გაგება, რაც ამის შესახებ იცით და გთხოვთ გამაგებინოთ, რამდენად მართალია ეს ეჭვი, მართლა წაიღო სანდრომ მიტკაის ნაწერები და ან თუ ჰქონდა მიტკაის ნაწერები?!!

სოლომონმა ამაზე მოკლედ მიპასუხა: მიტკასთან მე ძლიერ დაახლოებული ვიყავი და ვიცი, რომ მას ბლომად ჰქონდა ნაწერები; როცა სადმე მიდიოდა ის სოფლიდან, ან რაიმე საშიშროებას მოელოდა, თავის ხელნაწერებს, რომელთაც საიდუმლოდ კიდობანში ინახავდა, მუდამ მე მაბარებდა ხოლმე, საიდუმლოდ შესანახად... ხოლო შემდეგ ისევ უკან მიჰქონდა...

მობარების დროს, მუდამ ასე მეუბნებოდა: შენ, ისე გენდობი, როგორც ჩემს თავსა, ვიცი კარგად შემინახავ და უვნებლად დამიბრუნებო... ჩვენს დროს სიტყვის მიცემას დიდი ფასი ჰქონდა და როგორც მაბარებდა ისევე უბრუნებდი ხოლმეო... დააბოლოვა სოლომონმა...

რატომ ინახავდა ასე დიდი სიფრთხილითა და საიდუმლოებით თავის ნაწერებს მიტკაი? შევეკითხე.

მე მაშინ კარგად ვერ ვიყავი მიმხვდარი და მიკვირდა; ერთხელ ვჰკითხე: რა არის, რომ არ ვიცი?.. მიტკამ მოკლედ მიპასუხა: მოვა დრო და გაიგებ, ახლა კი შემინახე, მხოლოდ არავის რა უთხრაო... ამის შემდეგ აღარც მიკითხია მისთვის მიტკაის სიკვდილის, შემდეგ სანდრომა და მიტკაის დამ, ლიზამ, მიტკაის სახლიდან სანდროს სახლში გადატანილი მიტკაის ნაწერები დასწვესო და მეც ამის შემდეგ ვიფიქრე, რომ მიტკაის ნაწერებში თვითონ ყაზბეგიანთ და რუსის ხელმწიფის საწინააღმდეგო რამ წერებულა და იმიტომ ინახავდა ისეთი სიფრთხილით...

ეს აღარც მიკვირს, რადგანაც მიტკაი აძულებული ჰყვანდათ თვით ყაზბეგიანთ, ჯერ იმიტომ, რომ მიტკამ არ ინდომა იმათებური დიდკაცობა და ჩვენს ხალხსაც იმათებურად არ აწუხებდა; ჩაიკეტა აქ, ხევის თემობაში და მაშინ, როცა ყაზბეგიანნი ჩვენს ხალხს გაუდგნენ და ბატონობაზე სდებდენ თავს, ის ამ ხალხში იყო და მათებური ცხოვრებით ცხოვრობდა,—მიტკაი მასწავლებელი და დამრიგებელი იყო ჩვენი; მისი წყალობით ავახილე თვალი გავიგე ქვეყნის ავ-კარგი... ამას კიდევ ის დაერთო ზედ, რომ მიტკამ ყაზბეგიანთ ჯოგო შეირთო ცოლად და, ისიც უგვირგვინოდ... ყაზბეგიანთათვის ეს გვარის შერცხვენა იყო. დააბოლოვა სოლომონმა.

ჩემმა მეზობელმა, გოტოლეეთ იობამ, მითხრა, რომ როცა აქ, სტეფანწმინდას, ჟანდარმები მოვიდნენ მიტკაის გასაჩხრეკად, მიტკაიმან თავის დუქანში დამალა: ჩემი ტულუფი ჩავაცვი და ტახტქვეშ შევაწვინეო; თქვენ ხომ არა იცით რა ამის შესახებ? როგორ არა, იმ დროს მიტკაი ნასომი იყო და ამიტომ დასჭირდა ეს... ბოლო დროს ძლიერ სომდა—ითრობოდაო მიპასუხა სოლომონმა. იმისი თუ რამ იცით, რა უთხრა მიტკამ სანდროს, როცა ჟანდარმები სტეფანწმინდიდან უკან წავიდნენ? რა უნდა ეთქვა? არ მაახსოვსო. მიპასუხა სოლომონმა.

გოტოლეეთ იობამ მითხრა: გაჩხრეკის დროს, მიტკაი მკვდრად გამოაცხადეს და ჟანდარმებს უთარეს სანდროსია წიგნები და ნაწერებიო; როცა სანდრო შევიდა მის, იობაის დუქანში, მიტკამ უთხრა სანდროსაო: „რაო, ყვავს ფარშავანგის ფრთები გამოგასხ სო?"

ჰო, ეს მართალია, ასე ეთქვა მიტკას სანდროსათვის; მეკი, იმ დროს არ ვყოფილვარ იქ ასე ამბობდენ, სანდროს, იმ სიტყვებზე, სიკვდილის ფერი დაედოო... მიპასუხა სოლომონმა.

კიდევ ვის შეუძლია აქ, რომ რაიმე ცნობა მომცეს? მინდა სხვებისგანაც გავიგო მიტკაისა და სანდროს შესახებ ცნობები?.. შევეკითხე სოლომონს. ახლა აქ არის მოსული თითონ მიტკაის შვილი, მართალია, ის იმ დროს პატარა იყო, მაგრამ მასაც ემახსოვრება თავისი მამის სიკვდილი; ის ნახე, იმას ჰკითხე, ახლა სახლში იქნებაო. მიპასუხა სოლომონმა...

გადაუხადე მადლობა და გამოვემშვიდობე... მიველი დიმიტრი ყაზბეგის შვილების სახლში...

გამოვიდა ჩემთვის უცნობი კაცი... დიმიტრის შვილი მინდა მეთქი ვეუბნები... მე თვითონა ვარ, მობრძანდით, რა გნებავსთო? მიპასუხა მან...

შეველით სახლში. გამოვეცნაური, გაუმხილე ჩემი მისვლის მიზეზი... მან მითხრა: „ეს კითხვა ჩვენს გვარში გვქონდა დასმული და რადგანაც გვარისთვის ერთი იყო, ამიტომ საჭიროდ არ დავინახეთ ამაზე ლაპარაკიო" მიპასუხა ნიკომ.

ბევრი მტკიცების შემდეგ, დამეთანხმა, რომ საჭირო იყო სიმართლის გამორკვევა და შემდეგი მითხრა: „როცა მამაჩემი გარდაიცვალა მე პატარა ვიყავი, ვიქნებოდი 10—12 წლისა. დედაჩემი იმ დროს არ იყო აქა. მამიჩემის ნაწერები ალექსანდრემა და ჩემმა მამიდამ, ლიზამ, რომელიც ჩვენთან არა სცხოვრობდა, სცხოვრობდა ალექსანდრეს დედასთან, ალექსანდრეს სახლში გადაიტანეს. კედლის შკაფში, რომლის კარები დანომრილი ბოქლომით იყო დაკეტილი, ბოქლომს, რომ ვერა მოუხერხეს რა, გატეხეს. გამოალაგეს ყველაფერი, რაც კი შიგ ნაწერები იყო და ალოშკაის დახმარებით ალექსანდრეს სახლში გადაიტანეს; ავტირდი, მაგრამ ყურიც არ მათხოვესო. არ შეიძლება გვარში როცა ამოკითხვაზე გქონდათ ლაპარაკი, არ შეიძლება არ გამორკვეულიყო, რაი უქნა სანდრომ მამი-

თქვენის ნაწერებსო? და არის რამე უკვე დაბეჭდილ ნაწერებში, თუ არა მიტკაისი?

როგორ არა, ხევის ცხოვრებიდან დაწერილი მოთხრობები მამიჩემისად იქნა ცნობილი, ხოლო პიესები და ლექსები ალექსანდრესადაო მიპასუხა ნიკომ.

ამის შემდეგ, ამაების შესახებ მქონდა ლაპარაკი მღ. ბართლომე და იაგორ ღუდუშაურებთან და იაგორ შადურთან.

ამათის აზრით ნაწერები ალექსანდრე ყაზბეგს ეკუთვნის, დიმიტრი ყაზ ეგისა არა არის რა და არც შე ძლება იყოს, რადგან დიმიტრი ღვინოსა და არაყში იყო „ჩამლრჩვალიო“.

ამათგან იაგორ ღ დუშაურმა (ტიხვიეთ იაგორამ) ასე დაასაბუთა: მე თვითონ მნახველი ვარ, რომ ალექსანდრე დღე-ღამეობით სტოლს უჯდა და სწერ დაო...

შევეკამათენით ერთმ.ნერთს. მე მაშინვე უთხარი: ყველაფერი ეს შესაძლო და დასაჯერებელია, რომ ალექსანდრე სწერდა და ბევრსაც სწერდ., მაგრამ ჯერ ერთი, რომ შენ, იაგორავ, მაშინ პატარა და იმდენად მცოდნე იყავი, რომ ვერ შესძლებდი იმის გარკვევას, რისა და ვისას სწერ და მაშინ ალექსანდრე., ის კი მტკიცდება, რომ ალექსანდრემ მიტკაის შკაფი ძალათ გატეხა, გამოიღო მისი ნაწერები, თავის სახლში გადაიტანა.. მართალია, ამბობენ: სანდრომა და ლიზამ დასწვეს მიტკაის ნაწერებიო, მაგრამ რა დასწვეს და რა არა, ეს არავინ იცის... ვიცით, რომ ალექსანდრემ ამის შემდეგ გამოაქვეყნა საუკეთესო ნაწერები... ამიტომაა, რომ გახდა საეჭვო მეთქი რა თქმა უნდა, იმათ ჩემი არ დაიჯერეს და მე მათი: ამის შემდეკ, 1918 წელს, ქალ. კავკავში ვინახულე ჩემი დედის ძმა, ჯლუნა ფიცხელაური (თალქეთ ჯლუნაი), მის ოჯახში, როგორც დედის ბიძა.—სხვათა შორის, ამასაც ჩამოუგდე დიმიტრი ყაზბეგზე საუბარი და ვკითხე, თუ იცნობდა ის მას...

როგორ არა! კარგად ვიცნობდი, მასთან მოჯამაგირედაც ვიყავი, ძრიელ სასარგებლო კაცი იყო. ჩვენი თემობისათვის; მამაშვილურს დარიგებას აძლევდა ყველას. ბევრს გვასწავლიდა და თითონაც ყველასგან რასმე სწავლობდა... როცა ვისიმე ნათქვამი მოეწონებოდა, ის თითონ იმეორებდა, ან თითონ მთქმელს გაამეორებინებდა ხელ-ახლა... ხშირად უთქვამს მას ჩემთვის: აბა კიდევ გაიმეორე, ჯლუნუ, ეგ რაც ახლა სთქვიო.

მე ჯერ დაცინვად მივიღე, მეწყინა, არ მინდოდა გამეორება.. შემატყო წყენა და მითხრა: ჩემო ჯლუნავ, რაისთვის გეწყინა? მომეწონა შენი ნათქვამი და იმისთვის მინდა მაგ სიტყვების კიდევ გაგონებაო... ამის შემდეგ, სიამოვნებით ვიმეორებდი ხოლმე ნათქვამს სიტყვებსა და აზრებს, რადგან შევატყვე, რომ მიტკაი ისევე ცდილობდა ჩვენგან სწავლას, როგორც ჩვენთვის სწავლებას.. ასე იქცეოდა ის სხვასთანაც... იმისგან გავიგე ქვეყნისა და ხალხის გაჩენის ამბავი და მღვდლები და მათი ღვთაება აღარ მწამსო, მიტკას ძალიან ეჯავრებოდა, როცა ღმერთს ვიფიცავდი... ყველას იმას გვაუბნებოდა; „ღმერთს კი ნუ ფიცულობთ, სინდისი და თემის პირი იფიცეთ, უფრო მოგეხმარებათო...

მიტკამ შეირთო ცოლად ყაზბეგიანთ სახლის გოგო, ოსის ქალი, ტასო; ყაზბეგიანი ჯერ იმით იყვნენ მიტკაის უკმაყოფილო, რომ დიდკაცობა არ ინდომა, ხევის ცხოვრება არჩია. მერე ეს დაემატა ზედ და ჭირივით ეჯავრებოდა ის ყველა ყაზბეგებს... ყაზბეგიანთათვის საერთო სირცხვილად ითვლებოდა, რომ აზნაურიშვილმა, განათლებულმა-ნასწავლმა მიტკამ სახლის გოგო შეირთო ცოლად და მასთან უგვირგვინოდ სცხოვრობდა... არც სხვა ხალხს მოგვწონდა მიტკაის ესეთი საქციელი და ყველა მას სძრახავდა თავის გულში...

მაგრამ, მიტკამ არავის გაუწია ანგარიში და სიკვდილამდე სცხოვრობდა ტასოსთან... ტასო შემდეგ კობელ მისოსტოვზე გათხოვდა, აქ, კავკავში ცხოვრობენ ახლა.

მიტკაი თავის ცოლს, ტასოს, ხშირად ვერ აყენებდა ყაზბეგიანთ სახლში, რადგან ამის ნებას არ აძლევდენ მშობლები და ბიძაშვილები, სხვა სოფელში აგზავნიდა ნათესავებთან სადაც უნდა გაეგზავნა ტასო, უთუოდ მე გამატანდა, სხვას არავის ენდობოდა; რადგან ტასოს ემტერებოდენ ყაზბეგები... დაბოლავა ჯლუნამ.

ჯლუნავ! რაი იცი მიტკაის გადაცვალების შესახებ? მართლა სანდრომ წაიღო მიტკაის სახლიდან მიტკაის ნაწერები და დასწვა? ასე მითხრეს სტეფანწმინდას...

ის ვიცი, რომ მიტკაის ავადმყოფობისა და სიკვდილის დროს მისი ცოლი ტასო იქ არ იყო, შესულიყვნენ სანდრო, ალოშკაი და მიტკაის და ლიზა, გაეტეხათ დაკეტილი კედლის შკაფი და რაც შიგ ქაღალდები ენახათ, გამოელაგათ და სანდროს სახლში გადაეტანათ; იმ დროს მე იქ არ ვყოფილვარ—ასე სთქვეს დასწვესო.

ჰქონდა კი ნაწერები მიტკაის? შევეკითხე.

როგორ არა, ბევრი ნაწერები ჰქონდა და ძლიერ ..ურთხილდებოდა, სულ კლიტულში ინახავდა, როცა სადმე მიდიოდა ხანდახან გოჩიანთ სოლომონს აბარებდა შესანახად. ნაწერები? როგორ არ ექნებოდა, რომ სულ



დიმიტრი ყაზბეგი



ალექსანდრე ყაზბეგი

მუდამ სწერდა და კითხულობდა; სწავლა აკლდა და ვერ მოახერხებდა? როგორ ცხოვრობდა მიტკაი, მართლა თვრებოდა?.. მართალია. ბოლო დროს ხშირად სომდა, მაგრამ ჭკუას მაინც არ ჰკარგავდა; საერთოდ კი ის ძლიერ ყაირათიანად ცხოვრობდა... ამაზე მომაგონდა— ძლიერ მეჯავრებოდა მიტკაის ის, რომ ყანაში, დავარდნილს თუთუნს' რომ ნახავდა, საყვიდურით გვავსებდა— არა გრცხვენიათ, რომ ნაშრომს ასე უსარგებლოდ აბნევთ და თქვენს ისეც მწირს მოსავალს უფრო ამცირებთ თქვენი დაუდევრობითაო...

ჯღუნავ! შენ სთქვი მიტკაი ძლიერ უფრთხილდებოდა თავის ნაწერებს, კლიტულში ინახავდაო, რატომ უფრთხილდებოდა, როგორ გგონია?

ამაზე ვერას გეტყვი, არ ვიცი, ვიცი რომ ძლიერ უფრთხილდებოდა და სულ კლიტულში ინახავდა, არავის უჩვენებდა...

როცა სანდროზე შევეკითხე, ასე მიპასუხა ჯღუნამ: სანდრო ისე ვერ შეედრება მიტკაის, როგორც ღამე დღეს; სანდრო ატაცებული კაცი იყო; მიტკაი დინჯი—დარბაისელიო.

ვინ უფრო კარგა იცნობდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას? მიტკაი, თუ სანდრო? კიდევ შევეკითხე...

რაი თქმა უნდა, რომ მიტკაი. მიტაკაი სულ ჩვენში იყო, მუდამ ხალხში ტრიალებდა, ხალხთან ღებულობდა სახლხო საქმეებში მონაწილეობასა და სანდრო კი, იქით-აქეთ მიდიოდა, ჩვენ ხალხთან ნაკლებად იყო.

სანდრო, ხან ვითომ მეცხვარეობდა, ხან მეურმეობდა, ხან მედუქნედაც იყვის, ეგები ფული მოვიგოო, მაგრამ არა გამოვიდა-რა.

მიტკაი მხოლოდ ცოტა ხანს იყო დუშეთში სამსახურში, თორემ მთელს დროს სტეფანწმინდას ცხოვრობდა და რაღა თქმა უნდა, რომ მიტკას უფრო კარგად უნდა სცოდნოდა, ჩვენი ხალხის ცხოვრება და ზნეჩვეულებანიო. მიპასუხა ჯღუნამ.

ვინ იყო უფრო დაახლოებული? იყვნენ: 1) ყაზიეთ პოვლე, 2) გოჩიანთ სოლომონი, 3) გოდეთ ალოშკაი (ალოშკაი მამულების მოურავად ჰყვანდა მიტკასა), 4) გოტოლეეთ იობაი (თქვენებური) და 5) ყაზიეთ იაგორაი. მიპასუხა ჯღუნამ..,

აქვე ცნობად საჭიროდ მიმაჩნია დაუმატო, რომ 1) იობა ღუდუშაურმა, 2) სოლომონ ფიცხელაურმა და 3) ჯღუნა ფიცხელაურმა სხვადასხვა დროს, ცალცალკე, შემდეგი გადმომცეს: მიტკაი, როცა სტუდენტობას იგონებდა და ქართველ ახალგაზდობაზე ლაპარაკობდა ყოველთვის იტყოდა ხოლმე: **საქართველოს ჰყავს ორი ახალგაზდა, ნასწავლი ხახელმწიფო კაცი· 1) ილია ჭავჭავაძე და 2) ნიკო ნიკოლაძე**, მხოლოდ ნიკოლაძეზე ასე უმატებდა ხოლმე: **ნიკოლაძე ისე ვერ დაიჭირება ხელში, როგორც კალმახიო.**

ამ ცნობების გარდა' ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიაც მრავლადაა გაბნეული, ამ ორი პიროვნების, ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგების შესახებ ცნობები, დაახლოებით ამავე ხასიათისა.

ერთნი რომ მიტკას აკუთვნებენ უმთავრეს ნაწერებს, მეორენი გაწიწმატებით ამტკიცებენ ამის უსაფუძვლობას და საბუთად ის მოჰყავთ, რომ თვითონ არიან მნახველი, რომ ალექსანდრე რედაქციაში, ან მათთან ბინაზე სწერდა—ადგინდა „ელგუჯას“ და სხვა... ამათ შორის არის იაგორ ღუდუშაურიც, რომელსაც მე პირადად ბალღობიდანვე კარგ დ ვიცნობ; ვიცი, რომ ის, როგორც ყველა სხვანი, ტყუილს არ იტყვის და დასაჯერებელია ყველა ამათი ნათქვამი, იმ მხრივ, რომ მათ ნახეს, რომ ალექსანდრე მათ თვალწინ სწერდა „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“, „ხევის ბერი გოჩას“ და სხვ და დასაბეჭდად აძლევდა ასოთ-ამწყობებს...

დიახ ეს სარწმუნოა, მაგრამ ის კი აღარ არის სარწმუნო, რომ შესაძლებელი იყოს, ისეთი მოთხრიბების „ექსპრომტად“, რედაქციაში წერა, როგორიც არიან სწორედ ეს მოთხრობები... და როცა ეს მაინც ხდებოდა, სწორედ ამან უნდა დააფიქროს მნახველები, და ეჭვი შეატანინოს იმაში, რომ ეს შეუძლებელია და თუ ამ შეუძლებელს მაინც ახერხებდა ალექსანდრე ყაზბეგი, ეს ალბათ იმის იმედით, რომ მას, ალექსანდრეს წინდაწინ ჰქონდა, რედაქციისათვის, იმისთანავე ქაღალდზე გადაწერილი სხვისი გონების ნაყოფი, და თავისი ბოროტმოქმედების დასამალავად აკეთებდა ასეთს ნომერს... თორემ, მისი საკუთარი რომ ყოფილიყო, მაშინ რაში დასჭირდებოდა სხვისი თხოვნა, ძალით დაწერინება?

ყოველი შემოქმედი თვითონ მიილტვის, რაც შეიძლება შეუჩერებლად მიმდინარეობდეს მისი შემოქმედების სვლა... აქ კი სრულად ამის წინაღმდეგ ვხედავთ, და მართალია მიხ. ზანდუკელი როცა ამის დასამტკიცებლად ხელნაწერს დაბეჭდილს უპირისპირებს თავის წიგნში...

საჭირო იყო, თუ ვინმეა მნახველი, იმისი ცოდნაც, ის ნაწერები, რომელიც უდავოდ ეკუთვნის ალექსანდრეს, ასევე „ექსპრომტად“ იწერებოდა, თუ წინდაწინ გამზადებული მიჰქონდა ხოლმე ავტორს დასაბეჭდად რედაქციაში? მე ვფიქრობ, რომ წინდაწინვე, სრულიად დამშვიდებულს მიიტანდა მათ ავტორი და ამისთვის ზედმეტს ქაღალდსა, მელანსა და დროს აღარ დახარჯავდა, რადგან მას ამაში ვერავინ გამოედავებოდა, რადგან მას ამისი შიში არ აწუხებდა...

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ როცა შენ, სხვის ნაშრომს შენად აქვეყნებდი ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება ყველა მკვლევარისა...

აგრეთვე ყველა ის ცნობები, რომელიც მე მაქვს აქ მოხსენებული და სხვაც, ამტკიცებენ ერთს უმთავრესს, რომ დიმიტრი ყაზბეგის ნაწერები ალექსანდრე ყაზბეგმა, დიმიტრის სიკვდილის დროს, სანამ მისი გვამი გაცივდებოდა, გასტეხა საიდუმლო კლიტული, მოიტაცა... (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოტაცებაში, ამ მძარცველობაში ისეთივე მონაწილეობა უნდა მიუძღვოდეს ელისაბედ ყაზბეგს, როგორც ალექსანდრეს, მაგრამ ის, ამას პირდაპირ არ ამბობს, ეს მტკიცდება იმისი წუხილიდანაც (იხ. მისი წერილები ფიდო ყაზბეგთან) და იქიდანაც, რომ მან მონაწილეობა მიიღო ნაწერების გადატანა—დაწვა შენახვაში.

ამათ გასტეხეს კლიტული, იმ ოჯახში, რომელსაც ზიზღით უყურებდენ, რომელსაც სხვა ჰყავდა მემკვიდრე, გასტეხეს მცირეწლოვანი მემკვიდრეს ტირილის მიუხედავად, გასტეხეს სწორედ ის კლიტული, სადაც დიმიტრი ყაზბეგის უძვირფასესი განძი ეგულებოდათ; გასტეხეს ელვის სისწრაფით, ისი პატრონის გვამის გაცივებამდე... აი, ერთი საყურადღებო, ამას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება... მით უმეტესად, რომ ამ საქმეში თვით დიმიტრის და ლიზაა მონაწილე, რომელმაც უთუოდ იცოდა, რაც იყო დიმიტრისა, მაგრამ რადგან ამაში მას არა ნაკლები დანაშაული მიუძღოდა, პირში წყალი ჩაიყენა, ალექსანდრეს სიცოცხლით არაფერი სთქვა ამის შესახებ, ხოლო სიკვდილის შემდეგ აქეთ იქით წერილებსა სწერს.. შფოთავს... რაც იმით აიხსნება, რომ მას სინდისი ჰქეჯნის, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მან ქვეყნის პატივის ცემა, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგს ჰხვდა წილად და რომელიც მის ღვიძლ ძმის სიკვდილის შემდეგ მოსტაცეს მან და ალექსანდრემ, თავისი თვალით ნახა...

**დ. გ. ხართიშვილი.**

# ქარხნის ჭერქვეშ

შეხეთ მუშებს, ქარხნის მუშებს,
როგორ ჰშვენით შრომის მური.
აქ ზარმაცებს არვინ უშვებს,—
გამარჯელობა სუფევს ძმური.

შეხეთ, შეხეთ მათ მხნე სახეს
და მკერდს ოფლით ჩამოღარულს.
ჩუ, სიმღერაც შემოსძახეს,—
ყური უგდეთ ჰანგს ნეტარულს:

„ჩვენი ძველი სიმღერები
უილაჯო მოთქმას ჰგავდა;
ხარხარებდნენ გესლით მტრები
და ეს ხმები ზიზღს გვიძრავდა.

და დავჭექეთ სხვა სიმღერა
აფეთქების ცეცხლს რომ ჰბადებს;
ბრძოლის ქარმაც დაუბერა
და მოედო ბარიკადებს.

გამარჯვება ჩვენ გვხვდა წილად,
გასრესილი გდია მტერი;
მისთვისა ჰქუხს ასე ტკბილად
შრომის მრავალჟამიერი!“

ასე მღერის ქარხნის კერა,
საყვირის ხმაც ასე გრგვინავს;
ჰაერში კი, მზის სამზერად,
წინდის ფერი დროშა ფრინავს!

**გ. ქუჩიშვილი.**

# სხეულით ვაჭრობას სიკვდილი არჩია

პატარა ვარო, ასე ეძახდენ მას.

ათი წლისა იქნებოდა, რომ მშობლებმა ობლათ დასტოვეს. დაობლებული ვაროს აღზრდა იკისრა მისმა მოხუცმა ბებიამ. მას თუ რამე ჰქონდა შეგროვილი თავის სამარხათ, ის პატარა ვაროს სწავლას მოანდომა. როცა მოხუცს უკანასკნელი გროში გამოელია, ვაროს სწავლისათვის თავი დანებებინა და შეუდგა მისთვის საქმროს ძებნას. მაგრამ იმ მუხთალ დროში ვინ გაბედავდა თუ გინდ ლამაზი, თვალ ტუჟუნა ვაროს შერთვას როცა მას არა გააჩნდა რა. გარდა თავისი მცირეოდენი სწავლისა.

ხუთმეტი წლის გახდა ვარო, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა. შემოაცვდა ტანთსაცმელი. შიმშილ სიტიტვლის ბეჭედი დაასვა მას ცხოვრების უკულმართობამ, არსაიდან საშველი და ცხოვრების სახსარი აღარა ჰქონდა, ვისაც მიმართა სამუშაოსათვის ყველამ ეშმაკურათ გაუღიმა, ყველა ცდილობდა მისი გაჭირვებით ესარგებლა, თავისი მხეცური ჟინი დაეკმაყოფილებინა.

სასოწარკვეთილებამდი მივიდა, მაგრამ აქ თითქო ბედს შეებრალა იგი.

შეხვდა ერთი პატიოსანი მუშა, რომელმაც არ მიხედა იმის სიღარიბეს და წრფელი გულით შეიყვარა და ცოლათ შეირთო.

* * *

დადგა 1917 წელი, რევოლიუციამ გადააყირავა მეფის ტახტი, მაგრამ თვითმპყრობელობის მაგიერ სახელმწიფოს სათავეში ბურჟუაზია ჩაუდგა, რომელსაც ზურგს უმაგრებდენ მშრომელი ხალხის ყველა მოღალატე პარტიები — ესერები მენშევიკები. მაგრამ მშრომელმა ხალხმა დიდხანს არ აზოგინა ისინი. იმავე წლის ოქტომბერში რკინის ცოცხით ისტორიის სანაგვეში გადაყარა ყველა ისინი ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც ოქტომბრის მრისხანე გუგუნმა შეაშინა საქართველოში მოქუსლეს და გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

მათი ბატონობის დროს დაიწყო აჯანყებები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. არ ეძინა არც მჭედელ გიორგის (ასე ეძახდნენ ვაროს ქმარს). ის შევიდა ბოლშევიკების არალეგალურ ორგანიზაციაში. შეისწავლა სამხედრო ვარჯიშობა და ერთს მშვენიერ დღეს ჩვენ მას ვხედავთ ერთ მებრძოლ რაზმის რიგებში, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა საქართველოს „მხსნელ“ სახალხო გვარდიას. ეს იყო თბილისის, მახლობლათ სოღანლუხის რაიონში. მაგრამ ბედმა უმუხთლა მას და ერთ მოწინავე სანგარში ზარბაზნის ტყვიით დაგლეჯილი დაეცა ბრძოლის ველზე.

* * *

ამ დღიდან ვარო, თავისი პატარა შვილით, მეორეთ დაობლდა. ცოტა ხნის მოსვენებული ცხოვრება ისევ გაჭირვებამ და შიმშილმა შესცვალა, ახლა თავისი თავი ისე არ აწუხებდა მას, როგორც პატარა შურა, მას უნდოდა რძე, დედის ძუძუ, მაგრამ, როგორ უნდა დაეკმაყოფილებინა, როდესაც მთელი დღის განმავლობაში მის დედას ხმელი პურიც კი მონატრებული ჰქონდა, ისევ შემოაგლიჯა ტანსაცმელი, გატიტვლდა. ამ გვარათ გაატარა მან 1921 წლამდი. ამ წლიდან კი თითქოს მასი ბედის ჩარხი წაღმა დატრიალდა.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ფაბრიკა ქარხნების ნაციონალიზაცია მოხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ აიღო ხელში მართვა-გამგეობა და ამ ხნიდან ჩვენ ვხედავთ ჩვენს პატარა ვაროს ერთ ცნობილ თუთუნის ქარხანაში, სადაც ის ქარხნის კანტორაში ასრულებს მეორე ხარისხის მწერლის როლს.

სამი წლის განმავლობაში, ის ცოტათი მაინც უზრუნველ ყოფილი იყო თავის პატარა შურათი, რომელიც ამ წელს უკვე მეხუთე წელში გადადგა, მაგრამ. ნათქვამია „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“. მისდა საუბედუროთ, ქარხნის საპატიო დირექტორათ დანიშნეს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც თავისი თავის გარეშე სხვა ადამიანი ადამიანათ არ მიაჩნდა, ეს იყო უბრალო მუშა, მანქანის გამზეთავი. კლასობრივ ბრძოლაში გამოუწვრთნელი. ასეთი საპასუხისმგებლო ადგილის მიღებამ სიამაყის გრძნობა გამოიწვია მასში. თავისი ყოფილი მუშა ამხანაგები ხელქვეითებათ მიიჩნია. ზევიდან დასცქეროდა მათ.

ამ ვაჟბატონმა, ვარო ნიშანში ამოიღო და მიაღწია კიდეც მიზანს... დაუახლოვდა მას, ვინ იცის რამდენი სიკეთე და ბედნიერება აღუთქვა, გადაიყვანა დაბალ კატეგორიიდან მაღალზე. დაჰპირდა ცოლათ შერთვა და საუკუნო ბედნიერი ცხოვრება. ქალიც დასთანხმდა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მის პატარა შურას ნება ჰქონოდა თავისი მამის გვარი ეტარებინა... ამგვარად ის შვიდი თვის განმავლობაში სცხოვრობდა მასთან, მაგრამ თავისი დაპირების შესრულებას არ აპირებდა. ვაროს ეჭვი დაებადა.

ვარო უკვე ფეხმძიმეთ იყო. ორი თვის შემდეგ ბავშვს მოელოდა. გაახსენა გადიდკაცებულ დირექტორს მისი დაპირების ასრულება, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ზნე-დაცემულ ადამიანს იმდენი არამზადობაც აღმოაჩნდა, რომ გაშეშებულ ვაროს დაემუქრა კიდეც

— თუ ასეთი სისულელეებით კიდევ მომმართავთ სამსახურიდან მოგხსნით.

* * *

ახლა კი ნამდვილად დარწმუნდა ვარო, რომ ის მოატყუეს. ბევრი ფიქრისა და სულიერი ტანჯვისაგან პირზე ფერი დაეკარგა. ის თითქმის დასნეულდა. მშობიარობაც უახლოვდებოდა და არ იცოდა რა ღონე ეხმარა, ვისთვის მიემართნა, რომ ამ გაჭირვებისგან თავი დაეღწია. მაგრამ ასეთი გულშემატკივარი არავინ გამოუჩნდა. ბევრი მას თვლიდა ზნე დაცემულ ქალათ, რომელიც თავისი გარყვნილების ნაყოფს თავის სხეულში ატარებდა.

ფიქრისაგან დასნეულდა ვარო; დაჰკარგა ჯანის სიმრთელე და მიმზიდველობა სახისა. ხშირად თავის სამუშაოსაც ვერ ასრულებდა ისე როგორც ხაქმე თხოულობდა, ეს მცირე მიზეზი საკმარისი იყო ზნე-დაცემულ დირექტორისთვის, რომ მოეხსნა სამუშაოდან და მოესპო ერთათ ერთი სახსარი ცხოვრებისა და თავიდან მოეცილებინა ის ადამიანი, რომელიც მას ყოველწამს ჩადენილ სისაძაგლესა და დანაშაულს მოაგონებდა. მაგრამ ვარომ გადასწყვიტა ასე იოლათ არ დაეთმო მისთვის თავისი დამცირება, და ის შეუდგა კიდეც სამართლის გზას. მიმართა სათანადო დაწესებულებებს — დანიშნეს გასამართლების დღე და ერთ დღეს ორივენი წარსდგნენ სახალხო სასამართლოს წინაშე.

* * *

ვაროს გამაუპატიურებელმა იცოდა, რომ სახალხო სასამართლოდან ისე ადვილათ ვერ დააღწევდა თავს. იცოდა, რომ მას სამაგიეროს აზღვევინებდენ — იძულებულს ჰყოფდენ უზრუნველეყო მისი წუთიერი ნდომის ნაყოფი. იცოდა ყველაფერი ეს და ემზად ბოდა, რომ ერთხელ კიდევ დაემცირებინა ვარო.

გამონახა ერთი-ორი მუშა, ბნელი. უვიცი, რომელსაც ახალი ცხოვრების სხივებისათვის ვერ გაესწორებინათ თვალი, „ხაზეინების“ ფეხის ლოკვას მიჩვეულთ ვერ გაემართათ წელი. დაავალა მათ ცრუმოწმეობა. მუდამ ბატონის თვალში ცქერის მიჩვეულებმა ურჩობა ვერ გაუბედეს, დასთანხმდნენ. „ბატონი“ დირექტორიც ასეთი ცრუმოწმეებით, სრულ გამარჯვებაში დარწმუნებული წარსდგა სასამართლოში.

* * *

დირექტორის მოწმეებმა განაცხადეს, რომ ვარო ფრიად გარყვნილი ქალია და ცილისწამებაა, რომ ის მათ დირექტორს მისი ბავშვის მამობას აბრალებს. ერთი მოწმე იმდენათ გაიტაცა დირექტორის ერთგულებამ, რომ ვარო მასთანაც ვითომ ცხოვრობდა და ამა და ამ ადგილს ხშირათ გაუტარებია მასთან დრო.

ასეთი ჩვენე ის შემდეგ სასამართლოს არაფერი დარჩენოდა რა გარდა იმისა, რომ ვაროს მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

ამ რიგათ ურცხვმა, სინდის გარეცხილმა ადამიანმა ერთხელ კიდევ ლაფში ამოსვარა საბრალო ვარო, მართლმსაჯულების ტაძარში ცრუმოწმეების წყალობით ერთხელ კიდევ ფეხქვეშ გათელა მისი ადამიანობა, დაამცირა, გარყვნილ არსებათ გამოიყვანა.

* * *

სასამართლოს სხდომა გათავდა. ყველანი დაიშალნენ. ვარო კი სასამართლოს კარებს არ შორდებოდა. დაიცადა, სანამ მისი დამღუპველი ადამიანი გარეთ გამოვიდოდა. მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე და გაბედვით მიმართა:

— გამიგონე, ახლა სასამართლოში, არც ცრუმოწმეები გახლავს მხოლოთ მარტო მე და შენ ვართ მოწმე შენი სინიდისი იყოს, თუ კიდევ შეგრჩენია, მიპასუხე რაში ვარ მე შენთან დამნაშავე? რით დავიმსახურე მე შენგან ასეთი მოპყრობა? რათ გამაუპატიურე? რა უყო ამ ბავშვს, რომლის მამა შენა ხარ? ხომ იცი რომ მე ერთი ბავშვი მყავს და იმასაც ვერა ვზრდი... რა უყო ახლა ამ მეორეს?!

— ბავშვი ჩემი არ არის, უპასუხა მან ზიზღით, და გინდა რომ ჩემიც იყოს, მაინც მე ჩემათ არა ვცნობ. და თუ გინდა რომ სწორეთ გითხრა, მე შენ მომბეზრდი... აღარ მინდახარ... რადგანაც შენზე უკეთესი სხვა ვიშოვნე... წადი გამშორდი, როგორც გინდა ეგრე იცხოვრე... მე არც ისე სულელი გახლავარ, რომ რაღაც ერთი ნაჭერი უმი ხორცისათვის ჩემი მომავალი ბედნიერება დავთმო, და შენი ბავშვის მამობა ვიკისრო.

— მაშ ეგ არის შენი უკანასკნელი პასუხი? მაშ ჩვენს, უმანკო, უსუსურ ბავშვს საზრდოს მაინც არ მისცემ, რომ სხვა მხრივ ხელი არ შეგიშალო.

მე შენ არც ერთ გროშს არ მოგცემ და ძალიანაც რომ გინდოდეს ვერაფრით ხელს ვერ შემიშლი, გასწი გაჰყიდე შენი სხეული და იმით გამოზარდე შენი გარყვნილების ნაყოფი. ეს ხომ შენი ხელობაა, და მე კი ნურას უკაცრავათ, რომ შენი საკბილო არა ვარ. ესა სთქვა ერთიც ირონიულათ გადიხარხარა და გაშორდა.

ქალი გაშეშებული იდგა ერთ ალაგას. ასე იდგა კარგა ხანს. უცებ მოიკრიფა გონება და გაეშურა სახლისკენ.

* * *

სალამოს ხუთი საათი იყო, რომ მისი პატარა შურა ვაროს კალთაში ეჯდა და მის გულუბრყვილო კითხვებზე თვალცრემლიანი აძლევდა პასუხს.

— დედა რა გითხრა ძიამ. აღარ მოვა ჩვენსა? რავქნა დღეს მთელი დღე მშიერი ვარ. აღარც პური გვაქვს და აღარც რძე. დედაკაცმა მითხრა ფული მომეცით.

— არა უშავს რა შვილო აგერ ერთი ბეჭედი და დამრჩა მამიშენის ნაყიდი წავალ გავყიდი და რძესაც მოგიტან და პურსაც. ვარომ ერთი მწარედ ამოიოხრა, თითიდან ბეჭედი წამოიძრო დახედა და კიდევ ჩაფიქრდა, მაგრამ, ბავშვმა ახლა, სხვა კითხვა მისცა.

— დედი! განა მე მამა მყავდა? ვინ იყო მამაჩემი? მე არ მინახავს...

— აგერ შვილო შენი მამა ის იყო და მიუთითა კედელზე ერთ სურათზე.

— კარგი და თუ მამა მყავდა სად არის ეხლა, რატომ არ მოდის შინ? განა არ იცის რომ ჩვენ მშივრები ვართ და სახლის პატრონიც მუდამ დღე ჩხუბობს რომ ფული მომეცით.

— მამაშენი ეხლა შორს არის შვილო. ის აღარ მოვა აქა, უპასუხა ვარომ და თვალებიდან მდუღარე ცრემლები წამოსცვივდა.

— მაშ აღარ მოვა.—გაუმეორა პატარამ და თავისი პატარა ხელებით ცრემლი მოიწმინდა. დედა განაგრძობდა ტირილს. ბავშვსაკ გული აუჩუყდა და მორთო ტირილი.

— არა შვილო, მამა აღარ მოვა. მაგრამ ნუ გეშინიან ხვალ მედაშენ ერთად წავალთ მამასთან, მაშინ აღარც შიმშილი შეგვაწუხებს და აღარც ბოროტი კაცები.

— მაშ თუ წავალთ მამასთან რით უნდა წავიდეთ, როდესაც შენ ფული არა გაქვს?

— არა შვილო, ამისათვის ჩვენ ფული არ დაგვჭირდება გულში მაგრათ ჩაიკრა ბავში; თითქოს თავის ნათქვამისა თვითონ შეშინდა·

— შენ ცოტა მომითმინე და მე ეხლავე წავალ, რძესაც გიყიდი და ბულკსაც.

— ის წამოდგა ფეხზე მიუახლოვდა პატარა ყუთსა. იქიდან რაღაც ამოიღო ერთი ცარიელა შუშაც აიღო და საჩქაროთ გავიდა კარში. მცირე ხნის შემდეგ ისევ მობრუნდა და თან მოიტანა რძით სავსე შუშა. და ერთი პატარა ბულკი დაასხა ორ ჭიქაში და მიიტანა ბავშვთან. ჩაისო ბავში კალთაში და რომ ბავშმა ხელი მიიტანა ჭიქის ასაღებათ, ისევ მ ლე შეაჩერა, და ასე ორი ჭიქით ხელში ჩაფიქრებული მისჩერებოდა კედელზე ერთ წერტილს. ამ დროს მას თვალწინ წარმოუდგა რაც მოხდა სასამართლოში და სასამართლოს გარეთ. მოაგონდა მისი დამღუპველის სიტყვა.

„წადი გაჰყიდე შენი სხეული და ისე ირჩინე თავი“ გაბედვით მიაწოდა ბავშვს რძით სავსე ჭიქა, რომელმაც მან მადიანათ გამოცალა. თვითონაკ დალია. მცირე ხნის შემდეგ ბავშვს თვალები ელულებოდა, თავი დედის მკერდზე გადახარა.

— დედა მეძინება... მეძინება, დამაწვინე.

— კარგი შვილო, წავიდეთ. მეც შენთან დავიძინებ.

ამ სიტყვებით უფრო მაგრათ მიიხუტა ბავში გულზე და გაშმაგებული დაუწყო კოცნა, თან თვალთაგან მდუღარე ცრემლებით ასველებდა ბავშვის ლოყებს.

— წამოდი შვილო მეც შენთან დავიძინებ და ეს ძილი იქნება ჩვენი საუკუნო მოსვენება.

* * *

მეორე დღეს მზის მკრთალმა სხივებმა თითქო გაუბედავად შეანათა ვაროს ოთახში, მაგრამ იქ არავინ იყო, რომ მზის პირველ სხივს მხიარული ტიტინით შეგებებოდა.

ვაროს და მის ძუძუებში ჩახუტებულ შურას სამუდამოთ დაეხუჭათ თვალი,

**მუშა ალ. ბაჯიაშვილი.**

## მეზარეს

(სუნ-იატ-სენს)

ო, მეზარევ! დაჰკარ ზარებს,
ბრძოლის ზარებს დაჰკარ ისე;
დე, გულს ცეცხლის ალი სწვავდეს,
და სულს ბრძოლის სიხალისე!..

—

ფრთებს შლის ტურფა მომავალი,
ისმის ხმები ბორკილთ მტვრევის!
ბრძოლის ველზე შრომის ჯარი
განახლების ჰიმნსა მღერის!

—

ვიშ, ვიშ მდელოც! წითელ ფერით
რა რიგ ლაღობს, რა რიგ ნაზობს.
გამარჯვება ოქტომბერით,—
მშრომელთ გულში ფიანდაზობს...

—

ო, მეზარევ! შენც დაჰკარი,
ბრძოლის ზარებს დაჰკარ ისე,—
დე გულს სწვავდეს ცეცხლის ალი,
და სულს ბრძოლის სიხალისე!!..

**ონისიმე ქვიტირელი.**

## გამარჯვების მარში

დაჰკა, დაჰკა
ძლევის კვერთხი,
დაჰკა გრძნობით,
დაჰკა ისე,
რომ მხნეობას,
გულის ბუდეს
დაეფინოს სიხალისე!
აქ ქარხნები
ზეიმს იხდის
და ჰიმნს მღერის
გამარჯვების;
თან შუქურა
სხივებს აფრქვევს—
სხივებს ბრძოლის,
სხივებს შვების...
ისევ დილა პირ-მცინარე
და გმირები,
რკინის ძმები...
მტერი გულ-მკერდ
გაგმირული
გდია...
ისმის ძლევის ხმები...
და ეს ხმები
სანეტარო
როგორც წყარო
მორაკრაკებს,
ეუბნება შრომის
გმირებს
სანუგეშო
ტკბილ არაკებს.
ნეტავ ამ დღეს,
აძ ბრძოლის დღეს!
როგორ შვენის
ბრძოლის ღიმი,
სიხარული, სიყვარული...
თითქოს ცასაც
ეცხოს ცხიმი.
ვინ გაბედა ხელის ზევით
აწევა და შემოქნევა?
ნუ თუ მტერი ვერაგია
და იმისი შხამის
ნთხევა
სწამლავს ჰაერს,
სწამლავს მინდვრებს,
ბუჩქს და მდელოს,
და ძირს უთხრის
ჩვენს ნორჩს წითელ საქართველოს?
მაგრამ ისევ
ძლიერია ჩვენი ძალა,
ძლიერია ჩვენი მკლავი
ჩვენი ღონე,
და ვერაგი მტერი
უცებ მოვარდნილი—
ხალხის ნებას
ვერას დროს ვერ დაიმონებს.
ჩვენი მზე
და ჩვენი მთვარე
კვლავ ელვარებს,
და შუქს აფრქვევს
პირ ბადრ ვარსკვლავს
ხუთ მკლავიანს,
ალარვის აქვს

ძ ელი ქვიყნის
ხსნის იმედი—
და გრძნობები
გულში ხარბად
დღეს ყვავიან.
ისევ ისე იცქრიალე
შრომის მზეო,
გაანათე დედა მიწის
ყველა კუთხე,
და ქჩაგვრელებს,
ქეთა ხორებს
ყველა ქვეყნის—
ბოუ დამხვევი
მოისხ-ნებით
შეუკუ თხე..
ლოო დარჩეს
არც ეკალი
აღარც ნარი,
არც დემონი—
ბელზებელი საზიზღარი.
რომ ქვეყანას დაეუფლოს
შვების ეთა,
და მშრომელი ხალხის
ხარბი გულის ძგერა
დარჩეს მარად
სამშვიდობო
რკინის მკლავზე—
შემორკალოს
სიცოცხლე და სილამაზე!..

—

მტერი უკვე მოიხეჩა,
მოიხარა,
შეცოდების ცრემლებიც
კი გადმოყარა...
რალას იზამს,
ამ სოფელმა იცის ასე,
ხან შაბათის
ნაცვლად, შხამის
წვეთებს გასმევს.
გამარჯვება... სიხარული...
ჰა მუსიკა,
თან ქუეითი მრავალ მწკრივად
მიდის ჯარი,
მოწყენილი მტრების გარდა
არვინ არი.
ერა ხელ კიდევ
გაისმება კიდით კიდე
სიხარულის ლმაკრების
მკვირცხლი ხმები,—
და ეს არის მესაფლავე
ვერაგ მტრების.
წითელ დროშას
ძირს ვერ დახრის
ჩარჩ ს ძალა,
ვერც თავადი, და ვერც
მე ვალი წვერ-ცანცარა.
ის უჭირავს
ხელში მაგრა
შრომის შვილებს,
შრომის ოფლში,
შრომის სისხლში
გამოზრდილებს.
დაჰკათ, დაჰკათ
ძლიერი ხმა საყვირისა,
გამარჯვება განიცადონ
ყველა ხმაზე,
და, ცხოვრებამ
თავისუფალ შრომ ს შვილებს
შეაყვაროს სიცოცხლე
და სილამაზე!..

**ი. უკუნდგარელი.**

# მეცნიერება და ტეხნიკა

## ჩვენი მეზობელი პლანეტა—მარსი *)

ახლოს ჩვენგან, სივრცეში არის მთელი სამყარო, რომელიც ახლა ყოველ ღამე ბრწყინავს ჩვენს ზევით და აღვიძებს ჩვენს ცნობისმოყვარეობას, როგორც გამოუცნობი ამოცანა. ამ ვარსკვლავთ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მარსი. ის ამოდის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩადის დასავლეთით. ერთის მხრით მზის გარშემო მისი მოძრაობის და მეორე მხრით თვით ჩვენი დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის წყალობით, მარსი ამ ჟამად არაჩვეულებრივად ახლოა დედამიწისაგან. თითქმის ასი წლის განმავლობაში მარსი ასე არ მიახლოვებია დედამიწას. ასეთი მდგომარეობა განმეორდება მეოცდაორე საუკუნეში.



კამილ ფლამარიონი

თავის ობსერვატორიიდან თვალყურს ადევნებს მარსს.

იმ დროს, როცა ჩვენ დავიწყეთ მარსის დაკვირვება,—ეს იყო აპრილის დამლევს,—მარსზე ზამთარის მიწურული იყო. ამ ჟამად იქ ჯერ კიდევ გაზაფხულია, რომელიც დაიწყო დაახლოვებით 6 მაისიდან. ოქტომბერში იქ დაიწყება ზაფხული. ამ დროს ჩვენ საშუალება მოგვეცემა ზოგიერთი დასკვნები გავაკეთოთ იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც შემჩნეულია მარსზე.

ზღვები, სრუტეები, არხები ერთნაირი სიგანის მთელ სიგრძეზე მარსის საიდუმლოებას წარმოადგენენ. ნოემბრამდე ტელესკოპით თვალყურის დევნება მარსისათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს. ჩვენს განკარგულებაშია ორი თვე. ორი წლის შემდეგ მარსი დაბრუნდება, თუმცა უფრო მოშორებული მანძილით, მაგრამ მაშინაც საუკეთესო პირობები იქნება მისი წითელი სახის შესასწავლათ.

ყოველ შემთხვევაში რიცხვი 22 აგვისტო ერთად ერთია ჩვენს ცხოვრებაში, რამდენათაც არც ერთს ახლანდელს მცხოვრებს, ასი წლის მოხუცებსაც კიდევ არ მიეცემათ საშუალება, რომ ასე ახლო იყვნენ მარსის მეზობლად.

არიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყველაფერი აღმოაჩინეს და გულუბრყვილოდ არიან დარწმუნებული, რომ თანამედროვე ტეხნიკის საშუალებით შესძლებენ მარსთან კავშირის დაჭერას. არიან ისეთებიც, რომლებიც არა ნაკლებ გულუბრყვილოდ აცხადებენ, რომ მარსზე არავინ არ ცხოვრობს და არც შეიძლება ვინმე ცხოვრობდეს. პირველნი არიან თავისებური პროფესიონალური დაბრმავების მსხვერპლნი. მათი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ფიქრობენ თითქო პლანეტის ტემპერატურა დამოკიდებული იყოს მზისაგან დაშორების მანძილზე. ისინი ანგარიშს არ უწევენ ატმოსფერის ქიმიური შემადგენლობის გადამწყვეტ მნიშვნელობას და აცხადებენ, რომ მარსი, რომელიც დაშორებულია მზისაგან 288 მილიონი კილომეტრით (კილომეტრი თითქმის ვერსს უდრის) უნდა წარმოადგენდეს ყინულის სამყაროს (დედამიწა მზისგან დაშორებულია 149 მილიონი კილომეტრით), უდაბნოს. ერთის მხრით ჩვენს დედამიწაზე მისი ზედაპირის ტემპერატურა დამოკიდებულია მზის სხივების სითბოზე და, როგორც სჩანს, არ განისაზღვრება ჩვენი პლანეტის შინაგანი სითბოთი. მეორე მხრით, მზის სისტემის სხვა პლანეტებს—იუპიტერს, სატურნს, ურანს და თვით შორეულ ნეპტუნსაც (რომელიც მზისაგან დაშორებულია 4 500 000.000 კილომეტრით),—აქვთ საკუთარი სითბო. ვინ დაგვიმტკიცებს ჩვენ, რომ მარსს არა აქვს ასეთი სითბო? რასაკვირველია, მის პატარა სიდიდეს უნდა დაეჩქარებია მისი გაცივება, მაგრამ ჩვენ ნუ ავჩქარდებით დასკვნების გამოტანით.

ასტრონომების მეორე ბანაკი თეორიის მაგიერ აყენებს პრაქტიკას. ეს ასტრონომები უკვე დიდიხანია (1719 წლიდან) ამტკიცებენ, რომ ისინი ხედავენ თუ როგორ დნება თოვლი მარსის პოლიუსებზე, რომ ეს თოვლი დნება წლის დროის შესაფერად, რომ მარსზე შემჩნეული არხები თუ სხვა ფიგურები იცვლიან ფერმას, სახეს, სიგრძე-სიგანეს.

მკითხველისათვის მიმინდვია გამოიტანოს დასკვნა—ვის მხარეზეა სიმართლე: იმათ მხარეზე ვინც თეორეტიულად მსჯელობს თუ იმათ მხარეზე, ვინც მრავალ დაკვირვებებზე აგებული ფაქტებით ლაპარაკობს.

მარსი გაყინული პლანეტაა! საბრალო თეორეტიკოსები, რომლებსაც ერთხელაც არ მიუციათ საშუალება თავისი თავისათვის აღ-

*) წერილი ეკუთვნის ცნობილ ფრანგ ასტრონომს კამილ ფლამარიონს.

ტაცება გამოეთქვათ მზის თვალწარმტაცი შემოქმედების გამო მეზობელ პლ ნეტაზე. მარსი დიდათ პატივცემულია ჩემს ობსეოვატორიაში ჟიუვიზში (ეს ობსერვატორია დაარსებულია 1883 წ.). ორი თვის გ ნმავლობაში, მიუხედავათ მრავალი დაბრ კოლებებისა, რომლებიც გამოწვეულია წრევანდელი ზაფხულით, რომელიც შემოდგომას უფრო წააგავს, ჩვენ რეგულიარად ვადევნებთ თვალყურს, ვზომავთ და ფოტოგრაფიულად ვიღებთ თოვლს, რომელიც გუმბათივით ახურავს პლანეტის სამხრეთ პოლიუსს და თვალს გვჭრის თ ვისი ბწყინვით.

ჩ ე ნ ვხედ ვთ თუ როგორ თანდათანობით დნება თოვლი.



თოვლის დნობა მარსზე.
**1924 წელს გადაღებული სურათების მიხედვით.**

ჩვენ მარსში ვგრძნობთ მეორე დედამიწას, რომელიც კრთის მზის სხივებში. წლის დროები იქ გაცილებით დიდია ვიდრე დედამიწაზე, დღე-ღამე კი თითქმის ერთნაირი, სახელდობრ—24 საათი 37 წუთი და 23 წამი. წელიწადი მარსზე შეიცავს 686 დღეს, 23 საათს 30 წუთს 41 წამს.

რომ ამ პლანეტაზე ცხოვრება არის, ეს ეჭვს გარეშეა

მაგრამ როგორი არსებანი ცხოვრობენ იქ? აქ პასუხის მ ცემა არ არის ადვილი.

ეს არ არის დედამიწის მაგვარი ცხოვრება ეს რაღაც სხვაა, შეგუებული ამ პლანეტის თავის ბური პირობებთან

მეცნიერების განვითარება აგვიხსნის ჩვენ მარსის საიდუმლოს.

ქ. ფლამარიონი.

ჟიუვიზის ობსერვატორია, აგვისტო, 1924 წ.

## ბიბლიოგრაფია

### $H^2 SO4$.

ამ სახელწოდებით გამოვიდა ამას წინათ „ახალგაზრდა ფუტურისტების" ჟურნალი. $H^2SO4$ ყოველ შემთხვევაში ისინი ასე უწოდებენ თავიანთ თავს.

ჟურნალის გამოსვლამდე ბევრი ალბათ ასე ფიქრობდა, რომ მათში რაღაც არის, თუნდაც საშუალო ნიჭი. მაგრამ მათ მიერ გამოცემულმა ჟურნალმა ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცა მათი უბადრუკობა და უნიჭობა.

ჟურნალი იხსნება სადეკლარაციო წერილით. აქ მათ პრეტ ნზიები გასჩენიათ და თავს აცხადებენ ქართულ მწერლობის დიქტატორად, თუმცა სინამდვილეში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა და არც შესაძლებელია მოხდეს.

აქაო და ჩვენც წერა კითხვა ვიცით, რატომ ლექსები არ უნდა ვწეროთ, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენ უარვყოფთ გრამატიკას მეტრს, რითმას, რიტმს და სხვა დამახასიათებელ თვისებებს ლექსისას.

სწორეთ ამ მიზნით აიხსნება მათი გაპოეტება. მაგრამ „კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წ რმოდინდების" არც მეტი, არც ნაკლები. ქართველმა „ფუტურისტებმა" მოგვცეს ის, რაც შესძლეს. ეს ნიჭის ბრალია და არა მათი. ისინი აცხ დებენ:

„კომუ ხისტურმა ლმწ ნებლობამ მოსპო ძველი ფსიხიკა, ჩვენ პარალელურად გვიხდებოდა დაგვეშალა ქართული შემოქმედების ანტირევოლიუციონური ფორმულიროვკა"... ასე სწერენ თავიანთ დეკლარაციაში, მაგრამ ამ თეზისს თვით ივიწყებენ, ამას ქვევით დავამტკიცებთ. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ეს ერთი ჯურის ხალხი უდიერად იხსენიებენ პროლეტარულ პოეზიას. „პროლეტარული პოეტები, რომლებიც მხოლოდ პრეტენზენტები არიან რევოლიუციონერობის საერთო გან წყობილების გავლენის ქვეშ მოექცენ. ისინი სიმბოლიზმის მუზეუმში მოთავსებულ მასალებით ქმნიან პრაკლამაციურ ოდებს თანამედროობის. აქ ჩნდება კონტრევოლიუცია ფორმის და საერთოდ მასალის დალაგების" აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ „ფუტურიზმი" უფრო მისაღებია მშრომელი მასებისათვის ვინემ პროლეტარული პოეზია. მაგრამ ამას ისინი ვერ დაამტკიცებენ, რადგან მათ მშრომელ მასასთან კავშირი არ აქვთ. და თუ მთელ ჟურნალში ერთ-ორ ადგილას არის გადმოკრული სიტყვები: „კომინტერნი, ს. ს. ს. რ. რევოლიუცია" და სხვა ამგვარი, ეს მხოლოდ შიშველი სიტყვებია.

ისინი უარყოფენ და არ ღებულობენ მარინეტის ფუტურიზმს, აგრეთვე არც რუს ფუტურისტებთან აქვთ საერთო—ისინი ასე აცხადებენ და ჩვენ ის გვჯერა, რადგან ვლ. მაიაკოვსკი ან და პასტერნაკი ისე განირჩევა ნ. ჩაჩავასა და სიმონ ჩიქოვანიდან, როგორც მინა ალმასიდან.

შევეხოთ მათ შემოქმედებას.

**ნიკოლო ჩაჩავა:** „პოეზია 2+პოეტები=0".

„საქართველო მე რომ ვარ და მსოფლიოზე—
ამერიკა.
საქართველო=ამერიკა"

აბა რა აზრი არის აქ?

შემდეგ.

„აჯაბსანდალი
ვახდენ სკანდ ლს
აჯაბსანდალს რომ არ მომეშალოს მუცელი
ა ავის ჯ ა ჩემი დ ორსულე ა
უნდა მოვასხუ ო ტვინების სულემა"

და ბოლოს:

„ვაცხადებ თამამად: ვარ დიდა ახალი
საუკუნის ჩემგ ნ იწყება ქართული ჯიში".

რაღა გვიჭირს, თუ ასეთ ხალხისაგან დაიწყო ქართული ჯიში!

შემდეგ:

„მე დიდი კაცი უჩვეულო ფეხდაბანილი
ვანილივით ვყარვარ სიგძე შიგანში...
გემრიელია ჩემი თავი როგორც ტკბილის კვერი" და სხვა.

მკითხველი აქ დაინახავს, თუ რამდენად ამართლებს ეს ხალხი დეკლარაციაში მოყვანილ თეზისს, რომ „რევოლიუციამ მოსპო ძველი ფსიხიკა" მაშ ეს რაღა გვარი ფსიხიკაა!!

მე გადაჭრით ვამტკიცებ, რომ ზემოთ მოყვანილი ადგილები მათ ლექსებიდან არ არის არც პროლეტარული, არც რევოლიუციონური და მით უმეტეს ის არ არის კომუნისტური.

საერთოდ ჩვენ ფუტურისტებს გავლენა აქვსთ სოლომონ ზურგიელიძის. ამის უარყოფა მათ არ შეუძლიათ. აქედან იზომება მათი ლიტერატურული ღირებულება.

**პავლო ნოზაძე:**

„ო, თეთრო მკბენარო ქანძისთავო
უხვად მოგეპყრა სიძისთავი
გარჭობილი დაქონდა იალბუზი".

აბა რა არის ეს, თუ არა ბოდვა?! თვით ავტორს ესმის ალბათ, რომ ბოდვაა და ის ჩუმათ დასცინის იმას, ვინც უწონებს მას ასეთ „შემოქმედებას".

აი კიდევ ერთი „მარგალიტი"—რომელიც დაბეჭდილია მათ მიერ უკულმა:

გიორგი ლაშა იყო დიდი მონარქი, რადგან
ერთ ზაქს სჭამდა
მე ტფილისში ნეგატივი ვარ".

**ჟანგო ღოღობერიძე.**

„ცხენის სირბილიდან ქუჩა დაიბადა...
ზეპირად ვიცი მთელი როლი თიხის ქოთანის.
მე ქოთახს კონსულს წვერებიდან ჩამომდის ლაქი
ვობდები როგორც სულ პატარა ბავშვის სალამო
რომელმაც მარტო შეჭამა სცენა...
ვარ აღელვებული როგორც დილით ძროხის ნაჭერი
და თუ ხბო მაკლია
ტროტუარებზე არ იზრდება კარგი ბალახი"..

შემდეგ: „ჟანგო ფიქრობს თავისთვის ამ მოკლე ხანში მან უნდა გახსნას საპნის ქარხანა ამიერიდან მისი მოვალეობაა გახსნას ტრესტები" თავზე, ტრესტებზე და საპნის ქარხნის გახსნის შესახებ ფიქრი, ვგონებ კომუნისტური ფსიხიკა არ უნდა იყოს?!

„ჟანგო მაწონიდან მატარებელს აშენებს...
ჟანგომ თქვენ სახეზე ალმოაჩინა სავარძელი
სავარძელში წვალებით ჩაჯდება ქრობა“.

აი, პროლეტარული და რევოლიუციონური პოეზია. აქ უკვე პროლეტარულ პოეტებს აღარაფერი ეთქმის (?)

**ბესო გორდეზიანი:**

„ცხრა ულული კატა მიათრევს ტრამვაის
ტრამვაის ლატას ყლაპავს ჟირაფი
ჟირემში ზის ტრაგედია.
ყურძენმა მიირთვა კაცობრიობა.
ისმინეთ ყველამ, რომ საქართველო არის
ქოთანი, სააკაძე და მეწისქვილე“.

მოდი და ნუ დაეჭვდები სხვათა კაცი პოეტობაში! „ცხრა ულული კატა მიათრევს ტრამვაის“ აბა რა აზრია აქ? ეს არის წმინდა წყლის ბოდვა!

**ბიძინა აბულაძე:**

„საჭიროა არის სამალავით დავჯდე
შუბლზე დავიდო ხელები და მტკვრიდან ვუშვა
საპნის ბუშტები“
მე მინდა ვიყო ბორდოს თავად
ან ინდოეთის ბოგდიხანი“

ნეტავ ესეც პროლეტარული ფსიხიკაა—ინდოეთის ბოგდიხანად გახდომა?!

ან კი რა აქვთ სხვა მოტივი სიახლის, რომელიც მართლა თვალსაჩინოა. იდეა კოჭლი, ფორმა კოჭლი, გრამატიკა კოჭლი, მარტო კარგ ქაღალდზე დაბეჭდამ ხომ არ უნდა გაიტანოს ყველაფერი?!

**შალვა ალხაზიშვილი:**

«ძეგლი ოცდა ექვსი კომუნარების
სალამი ჩიკაგოს ტრესტებს“

რა შუაშია აქ ან ერთი, ან მეორე? ერთი მხრივ „პოეტი« ესალმება ჩიკაგოს ტრესტებს, ხოლო მეორე მხრით ეალაუჭება ოცდა ექვს კომუნარს, რომელნიც სწორედ ასეთ ჩიკაგოს ტრესტების წარმომადგენელ გენერალმა დახვრიტა. აი სად არის ორ სკამზე ჯდომა ჯერ კიდევ საკმაოდ შეუმჩნეველი.

ასეთია მოკლედ $H^2SO4$—ს, შემოქმედების ავლა-დიდება. ისინი ფიქრობენ დაიკავონ მწერლობაში მემარცხენეობის ადგილი და აცხადებენ პრეტენზიებს რევოლიუციონურ პოეზიაზე. მაგრამ მათ ამისთვის არც ნიჭი, არც ტრადიცია და არც ნებისყოფა აქვთ.

მშრომელი მასა და მშრომელი ინტელიგენცია მათ ნაცოდვილარს არასოდეს არ აიღებს ხელში.

მათ რაც სათქმელი ჰქონდათ უკვე სთქვეს, სხვა გზა მათთვის მოჭრილია, წილაბიც საკმაოთ ახდილი.

მაგრამ საკვირველია მაინც ის გარემოება, თუ როგორ ახერხებენ ეს ვაჟბატონები „ჟურნალ «მნათობი“-დან თავიანთ თავზე ქებათა ქებია შესხმას?

ნუ თუ „მნათობს“ ახლა მათთვის სცალია? ფუტურიზმი მოკვდა. პროლეტარული პოეზია დღეს იშლება, და იზრდება, გამობრძანდით ფარჭყავითდა ეს დებულება პრაქტიკით.

**ჭირისუფალი.**

**ლევ ტანდიტ.**

წიგნი ლექსების **„რკინის იერიში“**

საქართველოს პროლეტკულტმა გამოსცა პროლეტარული პოეტის ლევ ტანდიტის ლექსების წიგნი: „რკინის იერიში“, რომელშიაც მოთავსებულია 23 ლექსი.

ლევ ტანდიტი ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროლეტარული პოეტია, ის ეკუთვნის იმ ერთი ჯგუფ რუს პროლეტარულ პოეტებისაგან, რომლებიც ამიერ კავკასიაში მუშაობენ სამწერლო ასპარეზზე.

წიგნი იხსნება საქართველოს პროლეტკულტის ლიტ. კოლეგიის წინასიტყვაობით. წინასიტყვაობაში ახალი არაფერია ნათქვამი და უფრო კი საერთო წესით გალობაა, მაგრამ თვით წიგნი, რომელიც გამოიცა აქვს მნიშვლობა იმ მხრივ, რომ ჩვენშიაც გამოდის პროლეტარული პოეზიის ნიმუშები რუსულ და სხვა ენებზე.

უნდა ითქვას, რომ წიგნი კარგად გამოცემულია და არც ისეა აჭრელებული, როგორც ამ ბოლო ხნის გამოცემებში შეხვდებით.

კარგია ლექსი: „მუშის სიხარული“. აქ პოეტი ამართლებს თავის მოწოდებას ის ჭეშმარიტი პოეტია. მას ახარებს ის, რომ ქუჩებში ხედავს გრძელ ჯაჭვს წითელ ახალგაზრდობის, რომელთაც სახეზე გამარჯვების ღიმი უბრწყინავსთ.

პოეტი აღფრთოვანებულია ოქტომბრის რევოლიუციით, რომლის ცეცხლიანი ხმა ყველგა გაისმის და ის კმაყოფილებით მღერის თავის „რკინის სიმღერებს“.

ლექსი „მუშა ქალს“ დაწერილია სადა ფორმით, კითხვის დროს კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მუშა ქალი რომელმაც მთელი თვისი ძალ ღონე ქარხანაში მუშაობას შესწირა, ბრძოლის დროს უკან არ იხევს... გადის კვამლიან ბარიკადაზე, მაგრამ ყუმბარა გასკდება და დაღუპავს მებრძოლ ქალს, რომელიც იბრძოდა საბჭოთა ძალა-უფლებისთვის.

აგრეთვე კარგია ლექსი: „ლენინის დღე“. ეს ლექსი თავისუფლად ამოუდგება გვერდში რუს პროლეტარულ პოეტების ლექსებს. ბელადის დაკარგვის განცდა, მოცემულია ძლიერი ადგილებით. პოეტს სწამს, რომ ვლადიმერ ილიჩის პიროვნება განუმეორებელია და ის გაანათებს კიდევ მრავალ საუკუნეებს.

ლექსი „ფაბრიკაში“ კარგია.

აგრეთვე ლექსი: „გვაძლევ ელექტრო მზეს.“ ამ ლექსს ავტორი უძღვნის ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურზე მომუშავეებს. აქ არის გადაშლილი პოეტის გულწრფელი სურვილი. ის გრძნობს ამ დიდ საქმეს, რომელსაც მხოლოდ მუშური ხელი-უფლება უძღვება—მუშების კეთილდღეობისთვის.

ერთი სიტყვით ლევ ტანდიტი ამ პატარა წიგნაკით ღებულობს ჭეშმარიტ პოეტის სახელს. მაგრამ საჭიროა მეტი სიფრთხილე ლექსის ტეხნიკის გაუმჯობესების მხრივ.

მკითხველი.

# მხატვრობა

<u>რუსეთი.</u>

**„წითელი ჯგუფის“ დელეგატები მოსკოვში**

მოსკოვში ჩავიდენ გერმანელ კომუნისტ-მხატვრების გაერთიანების „წითელი ჯგუფი“-ს წარმომადგენლები მხატვრები ამხ. ნაგელ და იოგანსენი, რომელთაც მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის ბერლინის განყოფილებასთან არსებული „მხატვართა დამხმარე კომიტეტი“-ს მიერ დავალებული აქვთ მოაწყონ მოსკოვსა და ლენინგრადში გერმანულ რევოლიუციონური მხატვრობის პირველი გამოფენა.

გამოფენა გაიხსნება 15 ოქტომბერს მოსკოვში და გაგრძელდება ერთი თვე. შემდეგ გამოფენა გადატანილი იქნება ლენინგრადში.

გამოფენაზე რუსულ და გერმანულ ენაზე გაკეთებული იქნება მოხსენებები. გაიმართება დისპუტები, თათბირები და სხვა.

გარდა გამოფენის მოწყობისა ამხ. ნაგელსა და იოგანსენს დავალებული აქვთ მოაწყონ მუდმივი მჭიდრო კავშირი საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ მხატვრებთან და ხელოვნებთან. სხვადასხვა კულტურულ და სახელოვნო ორგანიზაციებისაგან, ჩამოსულ ამხანაგებს, დავალებული აქვთ მასალების შეკრება საბჭოთა კავშირის სახელოვნო და საერთოდ კულტურული ცხოვრების შესახებ.

კერძოთ მათ საფრანგეთის რევოლიუციონური ინტელიგენციის გაერთიანება „კლარტე“-საგან დავალებული აქვთ გამოარკვიონ შესაძლებელია თუ არა მოეწყოს საფრანგეთში საბჭოთა კავშირის მხატვრების, მწერლების და მეცნიერების საინფორმაციო მოხსენებები, მსახიობების გასტროლები და სხვა.

**„ილიჩი კუბოში“.**

ლენინგრადელი მხატვარი ისააკ ბროდსკი შეუდგა ხატვას სურათის „ლენინი კუბოში“. ეს იქნება ყველაზე უდიდესი სურათი მთელი რევოლიუციის ხანაში.

ბროდსკის მეორე დიდი სურათი „კომინტერნის საზეიმო სხდომა“ გამოფენილი იქნება ლენინგრადში ყველა მისი ეტიუდებით და და ესკიზებით, შემდეგ კი სურათს წაიღებენ მოსკოვში, კრემლში.

<u>გერმანია.</u>

**კომუნისტ მხატვრების გაერთიანება.**

რამდენიმე კვირის წინათ გერმანიაში მოეწყო კომუნისტ მხატვრების გაერთიანება, სხვათაშორის ამ გაერთიანებში შევიდენ ცნობილი გერმანელი კარიკატურისტი გეორგ გროსი, ბლიხტერი, ჯონ ხერტფილდი, პერნი, დიკსი და მსახიობთა დამხმარე მუშათა კომიტეტიდან ნაგელ და იოგანსენი.

გაერთიანება ატარებს სახელწოდებას „წითელი ჯგუფი“ და მიზნათ ისახავს გამოიყენოს თავისი ცოდნა და ნიჭი პოლიტიკურ-რევოლიუციონური აგიტაცია-პროპაგანდისათვის ეს შესაძლებელი იქნება თუ მოეწყო ორგანიზაციულად ძლიერი გაერთიანება კომუნისტ მხატვრებისა და გონებრივ მუშაკთა. „წითე-

ლი ჯგუფი“ ექვემდებარება პარტიულ ორგანიზაციას.

გაერთიანებას სურს მჭიდრო კავშირი დაიჭიროს საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ ხელოვნებთან. გერმანელი მხატვრები ამას მით უფრო საჭიროდ სთვლიან, რომ ამხანაგებს საბჭოთა კავშირიდან შეუძლიათ მისცენ გერმანელ რევოლიუციონურ მხატვრებს ძვირფასი რჩევა-დარიგებანი და მაგალითები თავისი გამოცდილებიდან.

„წითელი ჯგუფი“ ეს ხელოვანთა გაერთიანებაა საზღვარ გარეთ, **რომელიც მიზნათ ისახავს უშუალოდ რევოლიუციისათვის სამსახურს.**

**რუს მხატვრებს ეპატიჟებიან გამოფენაზე.**

საფრანგეთის ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო კამპანია რუს და გერმანელ მხატვრების მიწვევის სასარგებლოთ საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც გაიმართება ევროპაში. გამოფენაზე გერმანელ და რუს მხატვრების მიწვევის მომხრეები აგროვებენ ხელის მოწერის პეტიციის ქვეშ, რომლის გადაცემა სახალხო განათლების მინისტრის ფ. ალბერისათვის განზრახულია ნოემბრის დასაწყისში.

პეტიცია მიმართულია იმ „სკანდალური საბოტაჟისა და ოსტრაკიზმის“ წინააღმდეგ, „რომელსაც მიმართავს საფრანგეთი გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიმართ“.

ხელისმომწერთა შორის არის სახელები ფ. ჟაროლდის, ადამიანის უფლებების ლიგის ვიცე-პრეზიდენტის, მერლის, გ. კანის და ლიტერატურის, თეატრის, არქიტექტურის და ხელოვნების სხვა დარგების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლების.

# თეატრი

## რუსეთში.

**პატარა თეატრის იუბილე.** პატარა თეატრის იუბილე გადახდილი იქნება 27 ოქტომბერს. თეატრის წინ მომზადებული იქნება ადგილი ა. ნ. ოსტროვსკისათვის ძეგლის დასადგმელად.

**თეატრი „ატეისტი“.** თეატრმა „ატეისტ“-მა შეაჩერა თავისი მოქმედება 1925 წ. შემოდგომამდე. ამ დრომდი თეატრი მოამზადებს ანტისარწმუნოებრივ პიესებს.

**„პუგაჩევშჩინა“.** სამხატვრო თეატრი მიმდინარე სეზონში სდგამს კ. ტრენევის მიერ დაწერილ მასიურ პიესას „პუგაჩევშჩინა“-ს. პიესაში მონაწილეობას იღებს 200 კაცი.

**პოლევიცკაიას დაბრუნება.** მიმდინარე სეზონში ბრუნდება საბჭოთა კავშირში ცნობილი მსახიობი ქალი ნ. ე. პოლევიცკაია, რომელიც 2 თვის განმავლობაში იმუშავებს თეატრ „კომედიაში“ მოსკოვში, შემდეგ კი საგასტროლოდ გაემგზავრება საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში.

**მოისის ჩამოსვლა.** ცნობილ მსახიობ ალექსანდრე მოისის მოსკოვში მოელიან 15 ნოემბერს.

# მუსიკა

## რუსეთი

### რევოლიუციონური ოპერა

**„ბრძოლა კომუნისათვის“.** ნ. გ. ვინაგრადოვმა და ს. დ. სპასსკიმ დასწერეს ლიბრეტო რევოლიუციონური ოპერისა „ბრძოლა კომუნისათვის“. ოპერის მუსიკას საფუძვლად დაედო პუჩინის ოპერის „ტოსკას“ მუსიკა. ლიბრეტო აგებულია პარიზის კომუნის უკანასკნელ ამბებზე, მასში შეტანილია აგრეთვე მრავალი მომენტი, რომლებიც დაკავშირებული არიან თანამედროვე ეპოქასთან. ისტორიული სისწორე სავსებით არ არის დაცული. „ტოსკა“-ს მუსიკალური ნაწილი უცვლელად არის დატოვებული გარდა მცირეოდენი ცვლილებისა მესამე აქტში.

**უცხოელ მუსიკოსების მოწვევა.** რუსეთის ფილარმონიამ საბჭოთა კავშირში საგასტროლოდ მოიწვია სკრიპკის დამკვრელი სიგეტი, პიანისტი ეგონ პეტრი და ცნობილი დირიჟორი ოსკარ ფრიდი.

**ანტი-სარწმუნოებრივი ოპერეტები.** თეატრ „ატეისტი“-სათვის მალცევმა დასწერა ოპერეტა „გაუმარჯოს უხრწნელ ნაშთებს“ და „მამა ტიხონი—ჩვენი პატრიაქი“.

**ქემალ ფაშის ცოლის თხოვნა.** რუსეთის მუსიკისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ოსმალეთში. ქემალ-ფაშის ცოლს, მისი თხოვნას თანახმად გაეგზავნა პატარა მუსიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც შესდგება საბჭოთა თანამედროვე მუსიკოსების 60 ნაწარმოებიდან.

**კ. გლაზუნოვის ახალი მუსიკალური ნაწარმოები.** კომპოზიტორმა კ. გლაზუნოვმა დაამთავრა 4 ახალი პრელიუდია ფორტეპიანოსათვის.

**მუსიკა „ოიდიპოს მეფე“-სათვის.** კომპოზიტორმა დეშევოვმა დასწერა მუსიკა ტრაგედიისათვის „ოიდიპოს მეფე“.

**ახალი ოპერა.** დირიჟორმა ს. ბერშადსკიმ დასწერა ახალი ოპერა „სტენკა რაზინ“.

**რევოლიუციონური ოპერა.** ლენინგრადის აკადემიური თეატრის გამგეობას განზრახული აქვს გამოაცხადოს კონკურსი რევოლიუციონურ ოპერაზე.

**აუერის მოწაფე ლენინგრადში.** ცნობილი მუსიკოსის ლ. ს. აუერის ერთი უკანასკნელი უნიჭიერესი მოწაფე არის ახალგაზრდა სკრიპკის დამკვრელი მერი ლანდაუ, რომელსაც შემოდგომაზე მოელიან ლენინგრადში.

## აზერბეიჯანი.

**თურქული სიმღერების ჩაწერა.** აზერბეიჯანის ნოტებით სავაჭრო სახელმწიფო სამმართველომ გამოსცა 8 თურქული სიმღერა ჩაწერილი პროფ. კარაგიჩევის მიერ. განსაკუთრებით ლამაზია სიმღერა „სატროფოს ლოდინი“.

## იტალია.

**„ტურანდოტ“.** კომპოზიტორმა პუჩინიმ დაამთავრა თავისი ახალი ოპერა „ტურანდოტ“.

## ამერიკაში.

**12 000 კაცი კონცერტზე.** ნიუ-იორკში გაიხსნა მეშვიდე ე. წ. „სტადიუმ-კონცერტი“ (კონცერტები ჰაერზე). ფილარმონიის ორკესტრმა შეასრულა ჩაიკოვსკის და ვაგნერის ნაწარმოებნი. კონცერტს 12,000 კაცი დაესწრო.

**სკრიპკის მათუსაილი.** ცნობილი რუსი სკრიპკის დამკვრელი ლ. ს. აუერი ამჟამად ნიუ-იორკში სცხოვრობს. ის 80 წლისა არის და დღემდი განაგრძობს თავის მუსიკალურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მასთან თავს იყრიან მოწაფეები ქვეყნის ყველა კუთხიდან. ამ რამდენიმე ხნის წინათ მისმა საუკეთესო მოწაფეებმა მ. ელმანმა, ი. ხეიფეცმა და ე. ციმბალისტმა აჩუქეს მას სახლი ნიუ-იორკის ერთ-ერთ საუკეთესო ქუჩაზე.

**„დუბინუშკა“ ამერიკაში.** ფ. შალიაპინის წყალობით ამერიკაში დიდ აღტაცებას იწვევს „Эй, дубинушка ухнем“. არც ერთი კონცერტი არ გაიმართება, რომ საზოგადოებამ „დუბინუშკას“ შესრულება არ მოითხოვოს. გრამოფონის ფირფიტები, რომელზედაც „დუბინუშკა“ არის გადაღებული ასი-ათასობით იყიდება.

**შალიაპინი ჩიკაგოში.** ფ. შალიაპინმა ხელშეკრულება დასდო ჩიკაგოს ქალაქის თეატრთან შემოდგომაზე იქ მუშაობის შესახებ.

**ს. კუსევიცკი ბოსტონში.** ს. კუსევიცკი მიიწვიეს ბოსტონის ფილარმონიის გამგეთ.

# ინგლის-საბჭოთა კავშირის კულტურული დაახლოვება.

გაზეთ **„მანჩესტერ გარდიენ“** მოწინავეს უძღვნის ლონდონში ამ რამდენიმე ხნის წინათ შემდგარ „საბჭოთა კავშირთან კულტურული კავშირის საზოგადოებას“.

გაზეთი სწერს:

„დაუშვებელია, რომ მომავალშიც გაგრძელდეს ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენ არ ვიცოდით თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში ინტელექტუალური ცხოვრების დარგში. არ შეიძლება საბჭოთა კავშირი დარჩეს ასეთ იზოლიაციაში. არ შეიძლება შესაფერად არ შევაფასოდ რუსეთის იდეების გავლენა დასავლეთის ლიტერატურაზე ჯერ კიდევ ომამდის. უფრო მეტი, მუსიკაში, ისე როგორც სხვა ხელოვნებათა დარგში, რუსები კაფავდენ ახალ გზებს; მათ აგრეთვე სრულყოფამდი მიიყვანეს მეორე ხარისხოვანი მაგრამ მომხიბლიევი ხელოვნება—ბალეტი. რევოლიუციის დღიდან უზარმაზარი ფარდა იყო იყო გაჭიმული ფინეთის ყურედან შავ ზღვამდი და ჩვენ მხოლოდ შემთხვევით შეგვეძლო გაგვეგო თუ რა ხდებოდა ამ ფარდის იქით. მაგრამ ჩვენ ვაცით, რომ როგორც მეცნიერებაში, ისე დრამისა და სხვა ხელოვნების დარგში საბჭოთა კავშირში მოხდა უდიდესი გადატრიალება: ახლა, როცა გზა გაეხსნება ინტელექტუალურ კავშირს ორ ქვეყანას შორის, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უფრო ახლო გავეცნობით იქ მომხდარ ცვლილებებს. ახალ საზოგადოებას შეუძლია და უნდა შეასრულოს **დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მუშაობა**“.

# კინო

## რუსეთი.

**ამხ. რიკოვის მოგზაურობა.** გოსკინომ გადაიღო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის მოგზაურობა რუსეთის მოუსავლიან გუბერნიებში.

**„ევდოკია როჟნოვსკაია“.** გოსკინო ამთავრებს ახალი სურათის—„ევდოკია როჟნოვსკაია“-ს გადაღებას სოფლის ცხოვრებიდან. სურათში მონაწილეობას იღებს მოსკოვ-ს ქარხნების 4000 მუშა, მრავალი გლეხი და წითელ-არმიელი.

**ახალგაზრდობის მეათე საერთაშორისო დღე.** პროლეტკინომ გადაიღო ახალგაზრდობის მეათე საერთაშორისო დღე მოსკოვში და სოფლათ.

**საბჭოთა მუშაკების კავშირის იუბილეხათვის.** საბჭოთა მუშაკების ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პროლეტკინოს დასდგას სურათი, რომელიც ხატავს კავშირის მუშაობას 5 წლის განმავლობაში.

**პოლიტ კატორღელთა თათბირი“.** სურათი „პოლიტ-კატორღელთა საკავშირო თათბირი“ საგრძნობათ შეივსო და შეიცვალა ახალი სურათებით. სარედაქციო საქმე იკისრა ყოფ. პოლიტ-კატორღელთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვილენსკი-სიბირიაკოვმა.

**„ყინულის სახლი“.** კინო-საზოგადოება „რუს“ ამზადებს ისტორიულ სურათს „ყინულის სახლი“.

**„სტენკა რაზინ“.** კინო-საზოგადოება „რუს“ სდგამს ისტორიულ სურათს „სტენკა რაზინ“. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო.

**„მიშკა ზვონოვ—ნორჩი პიონერი“.** სევზაპკინო ამზადებს სურათს „მიშკა ზვონოვ—ნორჩი პიონერი“.

**„აელიტა“ დამთავრებულია.** სურათი „აელიტა“ უკვე დამთავრებულია.

## გერმანია.

**„ფაუსტი“ ეკრანზე.** რეჟისორი ლიუდვიგ ბერგერი ეკრანისათვის ამზადებს „ლეგენდა ფაუსტის შესახებ“.

**„დუმილის კოშკი“.** რეჟისორი იოგან გუტერი სდგამს სურათს „დუმილის კოშკი“.

**კონრად ფეიდტი პარიზში.** პარიზის ერთ-ერთმა კინო-საზოგადოებამ ცნობილი გერმანელი კინო-მსახიობი კონრად ფეიდტი საფრანგეთში მიიწვია. ეს გერმანელი მსახიობის პირველი მიწვევა საფრანგეთში ომის შემდეგ.

**კინო თეატრების რაოდენობა.** უკანასკნელი აღწერით გერმანიაში არის 3.543 კინო-თეატრი. რაიონების მიხედვით ეს რიცხვი ასე ნაწილდება: ბერლინი—715, ჩრდილოეთ გერმანია—498, სამხრეთ-გერმანია—769, საქსონია—954 და რეინის პროვინცია—380.

## ავსტრია.

**„სანინ“.** არციბაშევმა, მიუხედავათ იმისა, რომ მას მრავალი წინადადება ჰქონდა, თვით ამერიკიდანაც, „სანინის“ სცენარის გაყიდვის შესახებ, სცენარი მიყიდა ავსტრიის კინო-საზოგადოებას.

## ამერიკა.

**„მსოფლიო იბრძვის ნავთისთვის“.** ფირმა „ცელნიკ“-მა მიიღო მონოპოლური უფლება ახალი სენსაციური სურათის—„მსოფლიო იბრძვის ნავთისთვის“—გასავრცელებლათ. სურათი დიდ ინტერესს იწვევს ამერიკაში განსაკუთრებით ნავთის გარშემო მომხდარი დიდი სკანდალის შემდეგ. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან ნავთში ბევრ ამერიკელ გამოჩენილ მოღვაწეს აღმოაჩნდა „გასვრილი“ ხელი.

**„არაბი“.** რეჟ. რექს ინგრემმა დაამთავრა დადგმა ახალი სურათის „არაბი“. სურათი დასდგეს ჩრდილოეთ აფრიკაში.

**„მხიარული ქვრივი“.** ცნობილ მსახიობს ერიკ ფონ-სტროჰეიმს დაევალა დასდგას სურათი „მხიარული ქვრივი“, ლეგარის ოპერეტის მიხედვით.

## საფრანგეთი.

**„როკამბოლ“ ეკრანზე.** საფრანგეთის ერთ ერთი კინო-საზოგადოება უკვე ათავებს „როკამბოლ“-ის გადაღებას. სურათი დაიდგა პონსონ-დიუ ტერრაილის ცნობილი რომანის მიხედვით (ამავე სახელწოდებით).

**„სალამბო“ ეკრანზე.** ერთი ფრანგული კინო-საზოგადოება სდგამს დიდ სურათს „სალამბო, ფლობერის რომანის მიხედვით.

## ინგლისი.

**„სცენარიების კონკურსი“.** ერთი ინგლისური კინო-ჟურნალის ცნობით, კინო საზოგადოების „Welsh Tearson“-ის გამგეობამ, რომელმაც ხუთასი სტერლინგი გადადვა საუკეთესო სცენარისათვის, პირველი ერთი თვის განმავლობაში მიიღო 700 სცენარი მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეში მცხოვრებ 29 სხვა და სხვა ეროვნების მწერალისაგან.

## იტალია.

**„ფაუსტი“ ეკრანზე.** ცნობილი ამერიკელი რეჟისორი გრიფიცი ამჟამად ემზადება „ფაუსტი“-ს დასადგამათ. სურათში თვით უმნიშვნელო როლებსაც მსოფლიოს ცნობილი მსახიობები შეასრულებენ.

**„ანტიგონა“.** მიმდინარე წელს დაარსდა კინო-საზოგადოება „Sicania-Film“, რომელიც ამჟამად ამზადებს ეკრანისათვის სოფოკლეს „ანტიგონა“-ს.

# ლიტერატურა

## რუსეთი.

**„თანამგზავრები“.** დრამატურგმა ვ. ავდეევმა დასწერა პიესა „თანამგზავრები“.

**„მისტერ კრაისის დაღუპვა“.** დ. შჩეგლოვმა დასწერა სამ მოქმედებიანი რევოლიუციონური სკეტჩი „უნივერსალური სხივები“ ანუ „მისტერ კრაისის დაღუპვა“.

**„კომისარი ნასტია“.** ლენინგრადის თეატრების სამმართველოს წინადადებით ვ. არსკი სწერს პიესას „კომისარი ნასტია“.

**„მიწის ძალა“.** ს. რუბენი ამთავრებს პიესას „მიწის ძალა“ (ა. შატობრიანის რომანის მიხედვით).

**„ტუზები და ექვსიანი“.** ახალგაზრდა დრამატურგმა პაპურიგოპალომ დასწერა პიესა „ტუზები და ექვსიანი“. მის პიესას საფუძვლად დაედვა ცნობილი ამერიკელი მწერალის უპტონ სინკლერის რომანები „ოთხასი“, „ამერიკელი ბირჟავიკები“, „ერთი მილიონერის ისტორია“.

**„გვირგვინი და მოსასხამი“.** ბელეტრისტმა ნ. ნიკიტინმა დასწერა რევოლიუციონური პიესა „გვირგვინი და მოსასხამი“. პიესას საფუძვლად დაედვა რომანი „იორგენის დღესასწაული“.

## საფრანგეთი.

**პიესები-რომანები.** ორიგანალური თანამედროვე რეპერტუარის უქონლობის გამო ამ ჟამად დიდ პატივისცემით სარგებლობს რომანების გადაკეთება პიესებათ. ასე მაგალითად გადაკეთებულია პიესებათ „გიგანტების გზა“ (პ. ბენუასი), „განწირულები“ (კლოდ „ფერერის), „ცოცხალი მკვდრების სახლი“ (კლოდ ფარერის) და სხვ.

**„კადრილი ანგელოსებით“.** ანატოლ ფრანსის რომანი „ანგელოსების აჯანყება“ გადაკეთებულია პიესათ „კადრილი ანგელოსებით“.

## გერმანია.

**„ელენ ლეი“.** ადრ. პიოტროვსკის პიესა „ელენ ლეი“ გერმანულ ენაზე თარგმნა კეტე როზენბერგმა და დაიდგმება ბერლინში ვალნერ-თეატრში.

**ზუდერმანის ახალი პიესა.** ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ზუდერმანმა დასწერა ახალი პიესა „კურდღლის ტყავებით მოვაჭრე“.

## ჯეკი კუგანი ეხმარება დამშეულ ბავშვებს

ცნობილი ამერიკელი მცირე წლოვანი (შვიდი წლის) მსახიობი ჯეკი კუგანი აგვისტოს დასაწყისში შეუდგა მოგზაურობას, რომელიც დამთავრდება მხოლოდ მაშინ, როცა საკმაო დახმარებას შეაგროვებს პალესტინის, სირიის, სომხეთის და საბერძნეთის უთავშესაფარო ბავშვებისათვის. ჯეკი კუგანი ამერიკის ყველა მთავარ ქალაქებში აწყობს მიტინგებს, რომლებზედაც სიტყვებს წარმოსთქვამს თვითონ და აგროვებს შემოწირულებებს.

შეკრებილ შემოწირულებებს ჯეკი თვითონ წაიღებს დანიშნულ ადგილებში.

# სპორტი

### საბჭოთა სპორტსმენები ნორვეგიაში

რუსი სპორტსმენები მელნიკოვი და გოსტევი ველოსიპედით გაემგზავრენ ევროპაში. მათი მარშუტი ასეთია: მოსკოვი-ლენინგრადი-პარიზი-მოსკოვი. ნორვეგიაში მათ მონაწილეობა მიიღეს ველოსიპედებით შეჯიბრებაში, რომელიც მოაწყო მუშათა სასპორტო კლუბმა ქრისტიანიაში. ნორვეგიელი მუშები აღფრთოვანებით შეეგებნენ საბჭოთა სპორტსმენებს.

### მოსკოველი მსუბუქი ატლეტები საზღვარგარეთ

მოსკოველ მსუბუქ ატლეტების საზღვარ-გარეთ მოგზაურობის ერთ თვალსაჩინო მომენტს წარმოადგენდა მათი გამოსვლა პრაგაში (ჩეხოსლოვაკია). ამ დღეს ქალაქში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელსაც ფიზკულტურის მოსკოვის საბჭოს დროშით წინ მიუძღოდენ მოსკოველი მსუბუქი ატლეტები. დემონსტრანტების მწყობრმა კოლონებმა წითელი დროშებით, მუსიკით და „ინტერნაციონალის" სიმღერით გაიარეს ქალაქის ბურჟუაზიული უბანი და გაემართნენ გამოფენის მოედანისაკენ, სადაც საბჭოთა სპორტსმენებს შეეგება საბჭოთა წარმომადგენლობა და 25 ათასი მაყურებელი, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებს მხურვალე და ხანგრძლივი ოვაციებით შეეგებენ.

### მოდიან წითელ სპორტინტერნში

წითელი სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომში შემოვიდა განცხადება ამერიკის ინტერნაციონალური მუშათა სასპორტო ორგანიზაციისაგან წითელ სპორტინტერნში შესვლის შესახებ. ამ სასპორტო ორგანიზაციაში თავს იყრიან ამერიკაში მცხოვრები მუშები— ინგლისელები, ამერიკელები, გერმანელები, ფრანგები, ჩეხები და ბერძნები.

ასეთივე განცხადება შემოვიდა იტალიელ მოგზაურთა საზოგადოებისაგან. ამ საზოგადოებაში სამი ათასზე მეტი წევრი შედის.

წითელ სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომმა წინადადება მისცა ყველა აღნიშნულ ორგანიზაციებს შექმნან ერთიანი ფრონტი სხვა პროლეტარულ სასპორტო ორგანიზაციებთან და მათთან შეთანხმებით იმუშაონ.

### მოლაპარაკება ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალთან

წითელი სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომი ენერგიულ მოლაპარაკებას აწარმოებს ლიუცერნის (შვეიცარია) რეფორმისტულ სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომთან ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ მთელი მსოფლიოს მუშათა სასპორტო ორგანიზაციებს შორის. ლიუცერნის სპორტინტერნი ამ მოლაპარაკებაზე დასთანხმდა მუშათა მასების ზეგავლენით. ევროპის მუშა-სპორტსმენები მოითხოვენ ერთიანი ფრონტის შექმნას წითელ სასპორტო ინტერნაციონალთან. ლიუცერნის ინტერნაციონალის ყვითელი მეთაურები კი ყოველმხრივ აჭიანურებენ ამ საკითხს და თავის მიწერ-მოწერაში წითელ სასპორტო ინტერნაციონალთან აყენებენ აშკარად მიუღებელ პირობებს, მაგალითად წითელი სასპორტო ინტერნაციონალის დაშლას და მასში შემავალ ყველა სასპორტო ორგანიზაციების ლიუცერნის ინტერნაციონალში შესვლას.

წითელი სპორტინტერნი თავის მხრივ აყენებს პარიტეტულ საფუძვლებზე გაერთიანების იდეას.

ახლო ხანში წითელი სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომი უშვებს წიგნს, რომლებიც მუშათა კლასის წინაშე გაშუქებული იქნება ის ტენდენციოზური პოლიტიკა, რომელსაც მუშა-სპორტსმენებს შორის აწარმოებს ლიუცერნის სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომი.

### წითელი სპორტინტერნის მესამე საერთაშორისო კონგრესი

წითელი სასპორტო ინტერნაციონალის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს მოსკოვში, ოქტომბრის პირველ რიცხვებში წითელი სასპორტო ინტერნაციონალის მესამე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის გახსნა განზრახულია 11 ოქტომბერს. კონგრესზე მოწვეული არიან დასავლეთ ევროპის 24 სახელმწიფოს მუშათა სასპორტო ორგანიზაციები და აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ-ამერიკის, კანადის, ურაგვაის და სამხრეთ-აფრიკის მუშათა სასპორტო ორგანიზაციები.

### წითელი სპორტინტერნის ჩეხოსლოვაკიის სექცია.

წითელი სასპორტო ინტერნაციონალის ჩეხოსლოვაკიის სექცია ერთ ერთი უძლიერესი ორგანიზაცია არის. ამ ორგანიზაციას ეწოდება „მუშათა სატანთსავარჯიშო საზოგადოებების ფედერაცია" და აერთებს 120 ათასზე მეტ წევრს. უკანასკნელ ხანებში ძლიერ ვითარდება პიონერების კომუნისტური მოძრაობა. პიონერების რიცხვი 50 0 კაცამდი აღწევს. ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული სასპორტო ორგანიზაციები „შევარდენი" და „არწივი" სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ მუშათა სასპორტო ორგანიზაციების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული სასპორტო ორგანიზაციები რიცხვობრივათ ჭარბობენ, მუშათა სპორტი სწრაფად ვითარდება და მუშური ახალგაზრდობის ფართე მასების პოლიტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

# ნარევი

### ბები პეგგი ნიუ-იორკში.

თუ როგორი პოპულიარობით სარგებლობს ამერიკაში პატარა (5 წლის) მსახიობი ბები პეგგი, ამტკიცებს შემდეგი ფაქტი:

მიმდინარე წლის ივლისში ნიუ-იორკის უზარმაზარ თეატრში „მარკ-სტრენდ-ტიატრ" უნდა ეჩვენებიათ ახალი სურათი „კაპიტანი იანვარი" ბები პეგგის მონაწილეობით.

მრავალხელ მოწვევის შემდეგ პატარა მსახიობის მშობლები დასთანხმდნენ ნიუ იორკში გამგზავრებაზე.

ნიუ-იორკის სადგურზე პეგგის შეხვდა გერლსკაუტების (ქალ-ბოი-სკაუტების) რაზმი, რომელმაც მუსიკით მიაცილა ის სასტუმრომდე, სადაც მას ელოდებოდა რამდენიმე დელეგაცია. რამდენიმე ქუჩა პატარა მსახიობმა გაიარა სკაუტებთან ერთად, შემდეგ დაიღალა და ჩაჯდა ავტომობილში.

თეატრში სპეციალურად მისთვის მოაწყვეს სურათების დღისით ჩვენება, რადგან მშობლების განცხადებით პეგგი სრულ 8 საათზე იძინებს, რომ დილით ადრე გაიღვიძოს.

### ყოფილი მეფე—რეჟისორი.

საბერძნეთის ყოფილი მეფე გიორგი, რომელიც ასე ადვილად გადაურჩა რევოლიუციონურ ქარიშხალს (თუ რევოლიუციად ჩავთვლით იმას, რაც საბერძნეთში მოხდა): მხოლოდ ტახტი დაჰკარგა, სიმუდამოდ გადასახლდა საფრანგეთში, სადაც კინო-რეჟისორობას აპირობს. ყოფ. მეფის ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ საბერძნეთის პარლამენტმა ჩამოართვა მას მთელი ქონება. მეფეს დარჩა მხოლოდ 2.500 000 მან. ქონება, რომლის პროცენტებით ის, მისი განცხადებით, ის ვერ არჩენს თავის თავს, ცოლს, უმცროს ძმას და კარისკაცებს. რეჟისორობამ უნდა შეუქმნას მას კეთილდღეობა და მისცეს საშუალება განაგრძოს მეფური ცხოვრება.

საფრანგეთის კინო პრესა გაოცებულია:

— რა საჭიროა კინო-რეჟისორისათვის კარისკაცებიო?!

### 32 კვირა ეკრანზე.

32 კვირის განმავლობაში ჩვენების შემდეგ ნიუ-იორკის კინო თეატრში „Egyptian Teatr" მოხსნეს სურათი „ათი მცნება". გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ სურათის შემოსავალმა ბევრათ გადააჭარბა ყველა სხვა სურათების შემოსავალს წინანდელ კვირეებში. ჩვენების ხანგრძლივობით კი „ათი მცნება" ჩამორჩა მხოლოდ სურათს „დახურილი ფურგონი", რომელსაც 34 კვირის განმავლობაში უჩვენებდენ ერთ კინოში.

### ორი მილიონი მანეთი 20 სურათში.

ცნობილმა ბოქსერმა და კინო-მსახიობმა ჯეკ დემპსეიმ კინო-საზოგადოება „უნივერსალ"-თან დადვა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ის მიიღებს ორ მილიონ მანეთს ოცი სურათისათვის. ეს სურათები გადაღებული იქნება 1924—25 წლის განმავლობაში პირველი ათი სურათის გადაღების შემდეგ

ჯემსი მიემგზავრება ამერიკის ყველა ქალაქეში, სადაც უჩვენებენ სურათს „ქიდაობა და ჯილდო“, მისი მონაწილეობით. ამსახიობისათვის დაწერილია სპეციალური ერთმოქმედებიანი პიესა, რომელშიაც როლებს ასრულებენ თვითონ ჯემსი, მისი პარტნერი-ქალი ვ ლ ი და ანტრეპენიორი ჯეკი კირნსი.

**უძველესი მუსიკალური საუნჯე**

თურქესტანის პოეზიის მკვლევარმა და ეთნოგრაფმა ნ. მირონოვმა მოსკოვში სახელ წიფო მუსიკალურ ინსტიტუტში გააკეთა მოხსენება მის მიერ აღმოჩენილ აღმოსავლეთის მუსიკალურ ნაწარმოებთა ციკლის, ე. წ. შაშმაკომის შესახებ მთელი ციკლი იყოფა 6 ცალკე მუსიკალურ პოემათ, რომლებიც საერთოდ წარმოადგენენ ერთ სიმფონიურ მთლიანს. თითეული მათგანი (მაკომი) იყოფა სამ განყოფილებათ. პირველ განყოფილებას ასრულებენ მუსიკალური ინსტრუმენტებით, მეორე—ვოკალური და მესამე—პლასტიური. ორუკანასკნელს აქვს ერთგვარი დამთავრება, ფინალი.

არსებობს აზრი, რომ შაშმაკომი არის უძველესი, მეშვიდე საუკუნის მუსიკალური ნაწარმოები. 300 წლის წინათ ამ ნაწარმოებს უკვე იცნობდენ ტოტვატუსუხურის და კავკამის სპარსელი ხელთნაწერების მიხედვით. ამჟამად შაშმაკომი ძლიერ პოპულიარულია თურქესტანის მოსახლეობას შორის. მაგრამ ზეპირათ ის იცის მხოლოდ რამოდენიმე პირმა, მათ შორის თურქესტანელმა მუსიკოსმა ატაელიაზ-აბას-ხანიმ და მომღერალმა ატა-ჯალალ დინ-ნაზიროვმა. მეცნიერული ექსპერიები შაშმაკომის შესასწავლად დაიწყო ბუხარის მთავრობის დავალებით კომპოზიტორ და ეთნოგრაფ ვ. ა. უსპენსკიმ. ბუხარის არქივებში ე. წ. ხორეზმული ნოტების აღმოჩენის შემდეგ, შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთის ამ მუსიკალური საუნჯის ჩაწერა. ამჟამად მირონოვისა და თურქესტანელი პოპულიარული მომღერალის ფიტრატის ხელმძღვანელობით, შაშმაკომი იბეჭდება მოსკოვში.

# ხელოვნების ქრონიკა

**ქუთაისის თეატრი.** მთავრობამ გადასდო ქუთაისის დრამის თეატრისათვის სუფსიდიის სახით 10.000 მანეთი.

**„დაკარგული საუნჯე“.** დამთავრდა და ამ დღეებში უჩვენებენ თბილისის კინო თეატრებში თანამედროვე ანტი-რელიგიოზურ კინორომანს: „დაკარგული საუნჯე“.

**მხატვრები სოფლად.** მხატვრები მოსე და ირაკლი თოიძე ამ ზაფხულში გაემგზავრენ რაჭაში, სადაც მოაწყვეს გამოფენა. მ. თოიძემ დახატა კურორტ შოვის ადგილ მდებარეობა.

**თეატრი ჭიათურაში** ამ დღეებში დამთავრდება ჭიათურის თეატრის შეკეთება. მთავარ რეჟისორად ამ სეზონში მოწვეულია რეჟ სორი მიხეილ ქორელი, დასი შემდგარია ადგილობრივ ძალებისაგან.

**„მხიარული კომედია“.** ახალ კლუბში საზამთრო თეატრში ამ ზამთრის სეზონში იმუშავებს დასი „მხიარული კომედია“.

**სომხური ოპერა.** საოპერო მსახიობს ისეცკის მიანდვეს სომხურ საოპერო დასის შედგენა. ითარგმნება სომხურ ენაზე ოპერები.

**სომხური დრამა.** რუსთაველის სახელობის დრამის თეატრში ამ სეზონში იმუშავებს სომხური აკადემიური დასი კალანტაროვის რეჟისორობით.

**ყოფ. მცირე თეატრი.** ყოფ. მცირე თეატრში ამ სეზონში იმუშავებს რუსული აკადემიური დასი. რეპერტუარი უკვე შემუშავებულია. სეზონი გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

**„ზარია ვოსტოკას“ სალიტერატურო დამატება.** ოქტომბრის ბოლოს გამოვა „ზარია ვოსტოკა“-ს სამხატვრო-სალიტერატურო დამატება.

**მუსიკალური მუშფაკები.** მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ტფილისში გაიხსნება სამი მუსიკალური მუშფაკი: ავლაბარში, ნაძალადევში და რუსთაველის პროსპექტის რაიონში.

**ქუთაისის დრამის რეჟისორები.** ქუთაისის დრამის რეჟისორებათ მოწვეულნი არიან: ვ. გუნია, ივ. ბარველი, ი. ზარდალიშვილი და ყალაბეგიშვილი, სეზონი გაიხსნება 16 ოქტომბერს.

**რიტმის და პლასტიკის კურსები.** ახალციხეში გაიხსნა რიტმის და პლასტიკის კურსები.

**ბათომის ქართული დრამატიული სტუდია.** წელს ბათომის ქართულ თეატრთან დაარსდა ქართული დრამატიული სტუდია, სტუდია მოამზადებს, როგორც მსახიობებს, ისე რეჟისორებს. სწავლა დაიწყება პირველ ნოემბრიდან. ჩაწერილია 40 ქალ ვაჟი.

**კინო სტუდია.** ბათომში არსდება კინო სტუდია.

**ბილეთების ნისიათ მიცემა.** სახელმწიფო თეატრის დირექციამ შეიმუშავა მიმდინარე 24—25 წ. სეზონში მუშა მოსამსახურეებისათვის კრედიტის გახსნის პროექტი.

**მუსიკალური საზოგადოება.** ბათომში დაარსდა მუსიკალური საზოგადოება, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია.

**„ფაუსტი“ სომხურ ენაზე.** სომხურ ენაზე გადაითარგმნა „ფაუსტი“ წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო და ჩატარდა დიდი წარმატებით.

**ქართველ პოეტების ლექსები სომხურ ენაზე.** ერივანში მოკლე ხანში გამოიცემა ქართველი პოეტების ლექსების თარგმანების კრებული.

**სახელმწიფო ოპერა.** ბათომის სახელმწიფო ოპერა გაიხსნება პირველ ნოემბრიდან, თბილისიდან მიწვეულია ორკესტრი, ბალეტი და ოპერის რამდენიმე ქართველი მსახიობები.

**რომანი „სანავარდო“.** დ. შენგელაიას რომანი „სანავარდო“ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა წიგნად.

**შაქრო ნავთლუღელის ლექსების კრებული.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა მუშა პოეტის შაქრო ნავთლუღელის ლექსების კრებული.

**პოემა „ევროპა“.** იონა ვაკელმა დასწერა პოემა „ევროპა“, რომელიც დაიბეჭდება ოქტომბრის დღესასწაულისათვის გამოცემულ კრებულში: „ოქტომბერი“.

**პიესათა კრებული.** პოლიტ - განათლების მთავარ-მმართველობა უშვებს პიესათა კრებულს, რომელიც შედგენილია მუშათა კლუბებისათვის.

**ს. თალაკვაძის რომანი: „ოჯახი“.** ს. თალაკვაძის ახალი რომანი: „ოჯახი“ დაიბეჭდება ჟურნ. „მნათობში“, შემდეგ კი გამოვა წიგნად.

**გ. ხუჩუაშვილის ნაწერები.** მზადდება დასაბეჭდათ გიგო ხუჩუაშვილის ნაწერების I ტომი.

**„რუსთაველიანა“.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა პ. ინგოროყვას ისტორიული ნარკვევი: „რუსთაველიანა“.

**ნ. ლორთქიფანიძის რჩეული ნაწერები.** დაიბეჭდა და მოკლე ხანში გამოვა ნ. ლორთქიფანიძის რჩეული მოთხრობები ერთ ტომად.

**აკაკის რჩეული ნაწერები.** სახელგამი სცემს აკაკი წერეთლის რჩეულ ნაწერების I და II ტომს.

**ი. ევდოშვილის ნაწერები.** სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიამ დაადგინა გამოსცეს ი. ევდოშვილის რჩეული ნაწერები.

**სახელგამი ამ მოკლე ხანში გამოუშვებს** შემდეგ წიგნებს:

— ალ. ჭავჭავაძე—რჩეული ლექსები.

— დანიელ ჭონქაძე—„სურამის ციხე“.

— ლ. არდაზიანი—„სოლომონ მეჯღანუაშვილი“.

— გ. ერისთავი—რჩეული პიესები.

— ნ. ლომოური—მოთხრობები.

— გ. წერეთელი—მოთხრობები I ტომად.

— დ. კლდიაშვილი—მოთხრობები I ტომად.

— ი. ჭავჭავაძე—რჩეული ნაწერები.

**ან. ერისთავ ხოშტარიას რომანი: „მიწა“.** გამოვიდა და იყიდება ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანი: „მიწა“.

**ვ. ბარნოვის მოთხრობები.** სახელგამი უშვებს ვ. ბარნოვის მოთხრობებს ორ ტომად.

**ს. მგალობლიშვილის მოთხრობები.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ს. მგალობლიშვილის მოთხრობების I ტომი.

**„შემოდგომა“.** გამოვიდა საბავშო წიგნი ნ. დონდუასი „შემოდგომა“.

**სამი ამბავი.** გამოვიდა და იყიდება შ. მღვიმელის მოთხრობა: „სამი ამბავი“.

**«პროლეტარული პოეზია“.** დაიბეჭდა და მოკლე ხანში გასასყიდათ გამოვა მუშა პოეტის ს. ხიდისთაველის ლექსების წიგნი „პროლეტარული პოეზია“.

**გალაქტიონ ტაბიძის ახალი წიგნი** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ **გალაქტიონ ტაბიძის** ახალი პოემა **„ჯონ რიდი“.**

**წითელი თეატრი.** წითელ თეატრის ქართულ სექცია ოქტომბრის დღესასწაულისათვის ამზადებს ვ. გარიკის რეჟისორობით: «გესმის მოსკოვო!»

**«ეშაფოტი».** გამოვიდა სეზმან ერთაწმინდელის ლექსების წიგნი: „ეშაფოტი“

**ახალი ოპერა** ოპერის მომავალ სეზონში დაიდგმება ახალი ოპერა: „ტრილბი“ და რევოლიუციონურ შინაარსზე გადმოკეთებული «ტოსკა» — სახელად: «ბრძოლა კომუნისათვის».

**აკადემიური დრამის უახლოესი პრემიერები.** მზადდება აკადემიური დრამის უახლოესი პრემიერები შექსპირის: „ვინძორი ქალები“ და ვერფელის: «შპიგელმენშ».

**ჟურნალი „მნათობი“.** გამოვიდა და იყიდება ჟურ. «მნათობის»-ს მე ნ-ე ნომერი.

**„ხელოვნების დროშა“.** გამოვიდა და იყიდება ხელოვანთა მუშაკების პროფკავშირის ყოველ ორკვირეული ჟურნალი „ხელოვნების დროშა“-ს მე-3 ნომერი.

**ფ. მახარაძის ნაწერები.** ამ დღეებში გამოვა ფ. მახარაძის ნაწერების მეორე ტომი.

**ეგნატე ნინოშვილის თხზულება** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა კრებული.

**„სამწუხარო შედეგი“.** წითელი თეატრის მთავარი რეჟისორი ალ. წუწუნავა ამზადებს დასადგმელათ ეგნატე ნინოშვილის რომანიდან გადმოკეთებულ დრამას: „სამწუხარო შედეგს“ მონაწილეობას მიიღებენ გარდა სტუდიელებისა, 200 კაცი სპარტაკელები.

**პროლეტარულ მწერალთა კავშირი.** პროლეტ. მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა ოქტომბრის დღესასწაულისათვის გამოუშვას ცალკე კრებული: „ოქტომბერი“.

**„სახსოვარი“** გამოვიდა წიგნად „სახსოვარი“ მუშა მწერლის გიგო ხეჩუაშვილის ოცდახუთი წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო გამართულ მუშათა ზეიმის შესახებ.


# „კომუნისტი“

## გრძელდება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ., 2 თვით—1 მან. 10 კაპ., წლის ბოლომდი—1 მან. 80 კაპ.

## ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

**თბილისში**
(ბინაზე მიტანით)

| | |
|---|---|
| 1 თვით . . . . . . . . | 85 კაპ. |
| 2 „ . . . . . . | 1 მან. 60 „ |
| წლის ბოლომდი. . | 2 „ 40 „ |

**პროვინციაში**
(გაგზავნით)

| | |
|---|---|
| 1 თვით . . . . . . . . | 95 კაპ. |
| 2 „ . . . . . . | 1 მან. 80 „ |
| წლის ბოლომდი. . | 2 „ 70 „ |

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“


სტამბა „ზარია ვოსტოკასი“ საშა წულუკიძის ქუჩა № 4.